4

სახელგაცი
1 9 3 6

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ცვლილი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ოთხთვიური ჟურნალი

4

1 9 3 6
ტფილისი

შინაარსი:

	გვ.
ლენინ-სტალინის დროშით (მეთაური)	3
ლავრენტი ბერია — უდრეკი მებრძოლი ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის	6

მხატვრული ლიტერატურა

ალ. შანიძე — მშობლიურ სერგოს	14
გიორგი გიასელი—ბალადა ესპანელ დედაზე	15
აპ. მახარაძე — რესპუბლიკა	16
შაქრო სამადაშვილი — შადრევნის კოშკებთან	17
ნინო ქობულაშვილი — ზაფხული დადგა	18
ა. საჯაია — წერილი	19
ვერა შუბლაძე — ზღვა სიხარული შინა და გარე	21
ვასილ ნამშურიძე — ზაფხულის მოსვლა	22
შალვა იოსელიანი — აჭარული პეიზაჟი	23
ნიკოლოზ დადიანი — ბაბუა შეიშალა	25
კოტე ხიმშიაშვილი — ამხანაგი პოლკოვნიკი	30

კლასიკური მემკვიდრეობა

ნ. ნეკრასოვი — ფიქრები საპარადო მისასვლელთან, თარგ. გრ. ცეცხლაძისა	36
ტარას შევჩენკო — ლექსები:	
1. მაისის საღამო	40
2. * * * (ხრამს ოქით)	41
3. * * * (ვცხოვრობ უნებლივ) თარგმანი ს. ჩიქოვანისა	42
4. შეშლილი — თარგმ. ხარიტონ ვარდოშვილისა	43
ალი არსენიშვილი — ტარას შევჩენკო	50
ქრისტეფორე რაჰველიშვილი — ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში	57

ლენინ-სტალინის დროშით

დიდი პროლეტარული რევოლუციის XIX წლისთავის საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღეებში დემონსტრაციათა მრავალრიცხოვან კოლონებში ბრწყინვალედ იკიაფებს ლოზუნგი:

„გაუმარჯოს ბოლშევიკთა სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას — სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ბელადსა და ორგანიზატორს“.

ამ სიტყვებში გამოხატულია 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხის საუკეთესო გრძნობები, უსაზღვრო ნდობა და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

ჩვენს პარტიას, რომელსაც ბელადის მტკიცე და მაგარი ხელი წარმართავს, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს სსრ კავშირის ხალხნი. მდიდრდება და იზრდება სოციალიზმის ქვეყანა. მტკიცდება სოციალიზმის მშენებელთა დიადი არმიის მოწინავე რაზმის ავტორიტეტი. „მსოფლიოში არ არის და არ ყოფილა ისეთი მძლავრი და ავტორიტეტული პარტია, როგორიც არის ჩვენი, კომუნისტური პარტია“ (სტალინი).

მუშათა კლასის მრავალრიცხოვან მტრებთან გააფთრებულ ბრძოლებში მიაღწია ჩვენმა პარტიამ უდიდეს გამარჯვებებს.

მეფის თვითმპყრობელობის შავ-ბნელი ეპოქის და 1917 წლის ოქტომბრის სასახელო ბრძოლების გამოვლით, სამოქალაქო ომის ცეცხლისა და თოფისწამლის კვამლის გადალახვით, ნგრევასთან ბრძოლის გადახდით, სტალინური ხუთწლედების საიერიშო წლების გზით მიიყვანა პარტიამ საბჭოთა კავშირის ხალხნი სასიხარულო და ბედნიერ ცხოვრებამდე.

თავის გზაზე ყოველგვარი სიძნელის გადალახვით, ხალხის მტრების — მენშევიკურ-ესერული ბინძური ხროვის, კაპიტალიზმის კონტრრევოლუციონერ — ტროცკისტ — ზინოვიეველ რესტავრატორთა — ფაშისტური ბურჟუაზიის ყველაზე საზიზღარ და ბინძურ აგენტთა — გამომჟღავნებითა და განადგურებით, — ბოლშევიკური პარტია განუყრელად დაუკავშირდა ხალხს, სამუდამოდ მოიპოვა მისი სიყვარული, ნდობა და პატივისცემა.

ხალხთან პარტიის ამ უმტკიცესმა კავშირმა თავისი გამოხატულება ჰპოვა სტალინური კონსტიტუციის პროექტში.

„...ყველაზე უფრო აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის რიგებიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან ერთიანდებიან სსრ კავშირის კომუნისტურ პარტიად, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა მოწინავე რაზმს მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და

არის ხელმძღვანელი ბირთვი მშრომელთა ყველა ორგანიზაციისა, როგორც საზოგადოებრივის, ისე სახელმწიფოებრივისა".

ხალხის მასების მზარდი აქტივობა, სტალინური კონსტიტუციის შემოღება, მომავალი ამოცანების „გრანდიოზულობა, — ყოველივე ეს უეჭველად ადიდებს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ როლს. მხოლოდ უიმედო იდიოტს ან სოციალიზმის შეგნებულ მტერს შეუძლიან ლაპარაკი ახალ ვითარებაში პარტიის ავანგარდული როლის შესუსტებაზე ან შემცირებაზე!

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ლენინ-სტალინის მოძღვრებას პარტიის შესახებ, რომელიც ძირფესვიანად უარჰყოფს თვითდინებას, ამჟამად სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მშრომელთ უმაგალითო უფლებებსა და შესაძლებლობებს ანიჭებს, კატეგორიულად გვიკარნახებს სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმხრივ განმტკიცების აუცილებლობას. საჭიროა სრულიად შეუბრალებლად ანგარიშის გასწორება სოციალისტური საზოგადოების ყველა მტერთან და, უწინარეს ყოვლისა, ტროცკისტ-ზინოვიეველ ბანდიტებთან.

სოციალიზმის მშენებლობის წარმატებანი, ამოცანების სიდიადე და სირთულე ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ თვითეულ კომუნისტს.

სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზეც და კონსტიტუციის შესახებ თავის ნათქვამ სიტყვებშიაც ამხანაგი სტალინი მოგვაგონებდა კომუნისტთა მზარდ პასუხისმგებლობას, იმ ახალ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებენ მათ, როგორც სოციალიზმის მძლე ქვეყნის ხელმძღვანელთ. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ზრუნავს რა კომუნისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, ტყუილად კი არ იცავს ასე თავგამოდებით ბოლშევიკურ რიგებს უცხო, მტრული და შემთხვევითი ელემენტებით დანაგვიანებისაგან.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გარკვეული ხდება მნიშვნელობა პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლისა, რომლებიც ამხანაგ სტალინის ინიციატივით ჩატარდა. ამაღლდა კომუნისტთა ბოლშევიკური სიფხიზლე, მათი იდეური დონე, გაუმჯობესდა მთელი პარტიულ-ორგანიზაციული, იდეურ-მასობრივი მუშაობის შინაარსი: პარტიამ ცოტა როდი განდევნა თავისი რიგებიდან, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, მტრები—თვალთმაქცები, ტროცკისტ - ზინოვიეველი არამზადები და მათი მფარველნი.

ახლა მოგვეპოვება ყველა წანამძღვარი პარტიული მუშაობის ბოლშევიკური აღმავლობისა და გაქანებისათვის. მხოლოდ ჩინოვნიკებსა და ფორმალისტებს შეუძლიანთ „ზოგადად" იმსჯელონ პარტიული მუშაობის აღმავლობაზე და თვალი დახუჭონ თვით აღმავლობის კონკრეტულ შინაარსზე.

პარტიული მუშაობის არცერთი დარგი არ არის რაღაც თვითკმარი. ყველა ეს დარგი ემორჩილება ამოცანას—საგრძნობლად გამოვაცოცხლოთ შინაპარტიული ცხოვრება, გავაძლიეროთ პარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალისტური მშენებლობის ყოველ უბანზე, ავიყვანოთ ორგანიზაციული მუშაობის დონე პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ახლდება ახალ წევრთა მიღება საკ. კ.პ. (ბ)-ში. კიდევ და კიდევ საჭიროა გავა-

ფრთხილოთ ყველა—ხელაღებით, განურჩევლად მიღების საშიშროებისაგან. პარტიაში მიღებულ უნდა იქნან მხოლოდ საუკეთესონი და მხოლოდ სასტიკი ინდივიდუალური წესით, უკამპანიებოდ.

დაუღალავი ზრუნვა პარტიული რიგების სიწმინდესა და კომუნისტის, როგორც მშრომელთა წინამძღოლის, როლის ამაღლებაზე წარმოადგენს პარტიული მუშაობის ნამდვილი აღმავლობის საწინდარს. და მაშინ პარტიული მუშაობის ყველა ფორმა ახალი შინაარსით გამდიდრდება.

პარტიულ კრებებზედაც, პარტიულ დავალებათა შესრულებაშიაც, განსაკუთრებით ყოველდღიურ პროპაგანდასა და აგიტაციაშიაც, რომლებიც ჯერ კიდევ ძალიან მოიკოჭლებენ, პრესის მუშაობაშიაც—ყველგან საგრძნობი უნდა იყოს სისხლჭარბი პარტიული ცხოვრების მაჯისცემა. ეს ხელს შეუწყობს პარტიას კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი კავშირი ხალხთან, კიდევ უფრო წარმატებით გადასჭრას სოციალისტური მშენებლობის ამოცანები.

ბოლშევიზმის მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლებში გამოიჭედნენ პარტიულ ხელმძღვანელთა სტალინური კადრები, რომლებსაც შესწევთ უნარი თან გაიყოლონ მშრომელნი. ახალი ამოცანების შესრულება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პარტიული ორგანიზაციები შემდეგშიაც მზრუნველობით შეარჩევენ და გამოზრდიან ღირსეულ პარტიულ ხელმძღვანელებს, განამტკიცებენ პარტიული აპარატის ძლიერებას.

მონოლიტური, შემჭიდროვებული ხვდება ჩვენი პარტია თავისი ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ოქტომბრის მე-19 წლისთავს, საბჭოების მე-8 სრულიად-საკავშირო ყრილობას. ასრულებს რა „ძირითადი ხელმძღვანელი ძალის საპატიო როლს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში“ (სტალინი), იგი უძლეველ საბჭოთა ხალხს აერთიანებს ერთიანი ნებისყოფით, ერთიანი მისწრაფებით — განამტკიცოს და გაამრავლოს სოციალიზმის მონაპოვარნი.

მაშ დაე უფრო მკაფიოდ ელვარებდეს კომუნისტთა და ყველა მშრომელის გულში ამხანაგ სტალინის მგზნებარე სიტყვები:

„ჩვენ, კომუნისტები — განსაკუთრებული წყობის ხალხი ვართ. ჩვენ განსაკუთრებული მასალისაგან ვართ გამოკვეთილი. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც დიდი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხ. ლენინის არმიას შევადგენთ. არა არის რა იმაზე მაღალი, ვიდრე პატივი—ეკუთვნოდე ამ არმიას“.

„პრავდის“ მოწინავე, 3/XI.

უდრეკი მებრძოლი ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის*)

ამხანაგ ორჯონიკიძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა! ცხოვრების ამ სავალი გზიდან ოცდაცამეტი წელი მან მოანდომა მუშათა კლასის გმირულ რევოლუციურ ბრძოლას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, სსრ კავშირში პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მუშათა მოძრაობაში თავისი მონაწილეობის პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა, მგზნებარე რევოლუციონერი ამხ. სერგო მტკიცედ დადგა ლენინ-სტალინის მხარეზე, ბოლშევიკთა მხარეზე.

ამხ. სერგოს პირველი მასწავლებელი და ხელმძღვანელი იყო საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი—დიდი სტალინი.

ამხ. სერგო გამოსჭედა ბოლშევიკურმა პარტიამ, იგი აღზარდეს პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა.

მეფის თვითმპყრობელობის ეპოქაში ამხ. სერგო ბოლშევიკური პარტიის ერთერთი მშენებელი იყო. განვლო რა ბოლშევიკური არალეგალობის სუსხიანი სკოლა, მან დაიკავა ადგილი საუკეთესო მებრძოლთა შორის ბოლშევიკთა ძველ კოჰორტაში.

სამოქალაქო ომის ეპოქაში, ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, ამხ. სერგო იყო რუსეთის თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ურდოებზე პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებათა ორგანიზატორი.

ამხ. სერგოს მუშაობასთან დაკავშირებულია ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური მთავრობების განადგურება და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ამიერ-კავკასიაში.

მთელი რიგი წლების მანძილზე ამხ. სერგო ხელმძღვანელობას უწევდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშენებლობას. მისი ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლება აღმოსავლეთის მიჯნაზე, შეჰქმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას, მიაღწიეს ამიერ-კავკასიის ხალხთა მტკიცე ნაციონალურ მშვიდობიანობას და ძმურ თანამშრომლობას.

---

*) გამოქვეყნებულია „პრავდის“ 28 ოქტომბრის ნომერში.

სერგო ორჯონიკიძე

ამხ. სერგო არის ლენინურ-სტალინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთი ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სოციალისტური მძიმე ინდუსტრიის ხელმძღვანელი, კაცობრიობის უდიდესი გენიის, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი.

ამხ. სერგოს სახელს სიყვარულითა და მადლობით წარმოსთქვამენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბოლშევიკები და მშრომელები.

ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს იჩენდა ამხ. სერგო დიდ ინტერესს საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებისადმი.

1903 წელს ამხ. სერგო გახდა რ.ს-დ.მ.პ. წევრი ტფილისში.

1904 წლის დამლევს და 1905 წლის დამდეგს, როცა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია, ამხ. სერგო მიემხრო რ.ს-დ.მ.პ. ბოლშევიკურ ფრაქციას.

ამიერ-კავკასიაში 1905 წ. დამდეგიდან ჩაღდება რუსეთის პირველი რევოლუცია. საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ფართო ხასიათს იღებს. რევოლუციური მოძრაობის სათავეში დგანან ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია და მისი შემქმნელი და ხელმძღვანელი, ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადი ამხ. სტალინი.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ლენინური სტრატეგიითა და ტაქტიკით შეიარაღებულებმა, მოაწყეს მუშათა და გლეხთა ბრძოლა რევოლუციის გამარჯვებისათვის, თვითმპყრობელობის დამხობისათვის და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისათვის.

ახალგაზრდა სერგომ, რომელმაც ტფილისში ბოლშევიკთა სტალინური სკოლა გაიარა, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მუშაობა ჩაატარა გუდაუთსა და სოხუმში, სადაც აწყობდა რევოლუციურ პროპაგანდას გლეხებში და ხელმძღვანელობას უწევდა მათს რევოლუციურ გამოსვლებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მეფის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ ამხ. სერგომ გუდაუთში მოაწყო შეიარაღებული გამოსვლა.

1905 წლის 24 დეკემბერს სოფელ ბომბორში, გუდაუთის მახლობლად, ბარკასიდან ნაპირზე საზღვარგარეთიდან მიღებული იარაღის გადმოტვირთვის დროს, ამხ. სერგო წითელ-რაზმელთა ჯგუფთან ერთად პირველად დააპატიმრა ყაზახთა რაზმმა.

დაპატიმრებული ამხ. სერგო გუდაუთიდან გაგზავნეს სოხუმის ციხეში, სადაც იგი ოთხ თვეს იჯდა.

ბაქოში 1907 წელს ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ამხ. სერგო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში, შედიოდა ბაქოს კომიტეტის შემადგენლობაში.

იმავე წელს, სტეფან რაზინის გორაზე საპირველმაისო დემონსტრაციის დროს, ამხ. სერგო მეორედ დააპატიმრეს და ბაქოს ციხეში იჯდა კუჩხიშვილის ბვარით.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ იგი აქტიურ პარტიულ მუშაობას განაგრძობდა რომანაში, ბალახანის რაიონში.

1909 წლის გაზაფხულზე ამხ. სერგო გადაასახლეს პრიანგარის მხარეში.

ორი თვის შემდეგ იგი გამოიქცა გადასახლებიდან და დაბრუნდა ბაქოში, ხოლო აქედან 1909 წლის შემოდგომაზე, რ.ს.-დ.მ.პ. ბაქოს კომიტეტის დავალებით, ირანში გაემგზავრა სამუშაოდ.

ირანიდან ამხ. სერგომ დაამყარა კავშირი ლენინთან ნ. კ. კრუპსკაიას საშუალებით. აწარმოებდა მასთან მიწერ-მოწერას, მოაგვარა ბოლშევიკური ლიტერატურის მიღება საზღვარგარეთიდან და მისი შემდგომი გადაგზავნა ბაქოთი რუსეთში.

1910 წლის დამლევს ამხ. სერგო ირანიდან გაემგზავრა პარიზს, სადაც მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკთა მუშაობაში.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში (1910—1912 წლები) მუშათა მოძრაობის ძირითადი, გადამწყვეტი საკითხი იყო პარტიის განმტკიცება, მისი რევოლუციური მუშაობის გაძლიერება მასებში. მენშევიკები და ტროცკისტები საბოლოოდ დაექანენ ლიკვიდატორობის, მოღალატეობისა და გამცემლობის გზაზე. ამ პირობებში განსაკუთრებით საჭირო იყო პარტიული კონფერენციის მოწვევა, რომელსაც უნდა დაესახა ახალი რევოლუციის მომზადების ტაქტიკა და გაეწმინდა პარტია ლიკვიდატორებისა და ტროცკისტებისაგან.

მაშინ ლენინმა ბრძოლა მოაწყო სრულიად რუსეთის საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის. ლენინის დავალებით 1911 წლის აგვისტოს ამხ. სერგო გამოემგზავრა რუსეთში, როგორც პრაღის საერთო-პარტიული კონფერენციის მომწვევი საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის რწმუნებული.

ამავე პერიოდში ამხანაგი სტალინი ლენინის დავალებით რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში დიდ მუშაობას ეწეოდა პრაღის კონფერენციის მოსაწვევად. 1911 წელს ამხანაგი სტალინი სპეციალურად ჩამოვიდა ბაქოსა და ტფილისში, რათა მოეწყო ბრძოლა ბოლშევიკთა პრაღის კონფერენციის მოწვევისათვის.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და დახმარებით შემოდგომის დამდეგს ამხ. სერგომ შესძლო სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მომზადებელ საორგანიზაციო კომისიის მოწვევა. ამ კომისიის პირველი სხდომა შესდგა ბაქოში, სადაც ჩამოვიდნენ ურალის, კიევისა და ეკატერინოსლავის წარმომადგენლები. მოსკოვისა და პიტერის დელეგატები, რომლებიც ბაქოში მიდიოდნენ, გზაში დააპატიმრეს. პირველი სხდომის შემდეგ, კონსპირაციის მიზნით, ბაქოში მომხდარ ჩავარდნასთან დაკავშირებით, კომისია გადავიდა ტფილისში და აქ დაამთავრა თავისი მუშაობა.

პრაღის კონფერენციაზე ამხ. სერგო გამოდიოდა პრაღის კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ანგარიშით და არჩეულ იქნა რ.ს.დ.მ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში.

კონფერენციის შემდეგ, ლენინის დავალებით, ამხ. სერგო დაუყოვნებლივ დაბრუნდა რუსეთში და გაემგზავრა ვოლოგდას ამხანაგ სტალინთან, რომელიც მაშინ სოლვიჩეგოდსკში იყო გადასახლებული. მაშინ ლენინმა დაავალა ამხანაგ სტალინს შეექმნა რ.ს.დ.მ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო.

ამხანაგი სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან.

გამოქცევის შემდეგ ამხანაგი სტალინი, ამხ. სერგოსთან ერთად, ჩამოვიდა ამიერ-კავკასიაში (ბაქო და ტფილისი), სადაც მოაწყო ბრძოლა პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის და ხელმძღვანელობას უწევდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორთა წინააღმდეგ.

1912 წლის მარტში, ლენინის დავალებით, ამხანაგი სტალინი, ამხ. სერგოსთან ერთად, პარტიული მუშაობისათვის გაემგზავრა პეტერბურგში. აქ ამხ. სერგო მალე დააპატიმრეს ჰუსეინოვის გვარით. პეტერბურგის ოხრანკამ მოახერხა ამხ. ორჯონიკიძის პიროვნების გამორკვევა და იგი სამართალში მისცეს გადასახლებიდან გამოქცევისათვის.

წინასწარი პატიმრობის ციხეში ექვსი თვის ჯდომის შემდეგ ამხ. სერგოს მიუსაჯეს სამი წლის კატორღა, რომელიც მან შლისელბურგის ციხეში მოიხადა.

1915 წლის შემოდგომაზე ამხ. სერგო გადაასახლეს ციმბირში, ალექსანდროვსკის საეტაპო ციხეში, სადაც მან 1916 წლის გაზაფხულამდე დაჰყო, რის შემდეგ იაკუტსკში გადაასახლეს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ამხ. სერგოს მოუსწრო გადასახლებაში შორეულ იაკუტიაში, სოფელ პოკროვსკოეში. ნავიგაციის დაწყების შემდეგ ამხ. სერგო, მაშინ იაკუტიაში გადასახლებაში მყოფ ამხ. ანდრეევთან, პეტროვსკისთან, იაროსლავსკისთან და სხვებთან ერთად, პირველივე გემით გამოემგზავრა იაკუტიიდან და 1917 წლის ივნისში ჩამოვიდა რევოლუციურ პეტროგრადში.

ამხ. სერგო არჩეულ იქნა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, შევიდა რ.ს.დ.მ.პ. (ბ) პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის შემადგენლობაში და შეყვანილ იქნა რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკთა) პეტროგრადის კომიტეტის წევრად.

ამხანაგი სტალინი იმყოფებოდა პეტროგრადში და ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტიის მთელ მუშაობას. ამხანაგ სტალინის დავალებით ამხ. სერგო წავიდა ლენინთან სესტრორეცკში, ხოლო შემდეგ ფინეთში, აწვდიდა მას ინფორმაციას პეტროგრადის საქმეთა მდგომარეობის შესახებ, იღებდა მისგან დირექტივებს ამხანაგ სტალინისათვის გადასაცემად.

1917 წლის 26 ივლისს—3 აგვისტოს პეტროგრადში შესდგა ბოლშევიკური პარტიის ისტორიული მეექვსე ყრილობა. ლენინი ყრილობას არ დასწრებია. VI ყრილობის მუშაობას ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტიის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ამ ყრილობაზე ამხ. სერგო იყო მომხსენებელი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის საკითხზე. იგი მტკიცედ იცავდა ამხანაგ სტალინის პოზიციას.

როგორც ცნობილია, VI ყრილობამ მიიღო ამხანაგ სტალინის წინადადება, რომ ლენინი არ გამოცხადებულიყო სასამართლოში.

1917 წლის სექტემბერში, ლენინისა და სტალინის დავალებით, სერგო ჩამოვიდა საქართველოში, სადაც 1917 წლის 17 ოქტომბრამდე დაჰყო.

24 ოქტომბერს ამხ. სერგო პეტროგრადში დაბრუნდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში.

1918 წლის გაზაფხულიდან დაიწყო ანტანტის ინტერვენცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. სახელმწიფოში გაჩაღდა სამოქალაქო ომი.

სამხრეთ რუსეთში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა, პირველ რიგში ცარიცინის დაცვა, ლენინის დავალებით, რუსეთის კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მინდობილობით. ამხანაგმა სტალინმა იკისრა.

1918 წლის ივნისიდან ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა ცარიცინის ფრონტს. მან შეჰქმნა რევოლუციური სამხედრო საბჭო, მოაწყო რეგულიარული წითელი არმია და გამანადგურებელ ლახვარს სცემდა კონტრრევოლუციურ დამტრულ ელემენტებს წითელი არმიის ზურგში.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1918 წლის აგვისტოში წითელმა არმიამ, ამხანაგ სტალინის სახელოვანი მებრძოლი თანამესაგრის ამხ. ვოროშილოვის სარდლობით, გაანადგურა კრასნოვისა და მამონტოვის თეთრგვარდიელთა ჯარები და შორს მირეკა ისინი დონისაკენ.

ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციასთან უაღრესად გაალმასებული ბრძოლის ამ პერიოდში ამხ. სერგო პროლეტარული რევოლუციის მებრძოლ ძალთა დაუღალავი, უშიშარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ჩრდილო-კავკასიაში.

ჩრდილო-კავკასიაში ამხ. სერგომ უდიდესი მუშაობა შეასრულა: იგი ამაგრებდა რევოლუციის თავდაცვას. მან მოახდინა გარღვევების ლიკვიდაცია და მოაწყო წითელი არმიის გამარჯვებანი სერებრიაკოვის, ბიჩერახოვის, შკუროს, პოკროვსკის თეთრი არმიების ბანდებზე. იგერიებდა რა კონტრრევოლუციის ძალთა შემოტევას, იგი ჰქმნიდა და ანმტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს მრავალერიანი ჩრდილო-კავკასიის განსაკუთრებით ძნელ და რთულ პირობებში.

წითელი არმიის ბრძოლას თეთრი ბანდების წინააღმდეგ ამხ. სერგოსთან ერთად აქ ხელმძღვანელობდნენ ამხანაგები ს. კიროვი, გიკალო, ლევანდოვსკი და სხვ.

1918 წლის დამლევს გენერალმა დენიკინმა მოახერხა მრავალრიცხოვანი თეთრი რაზმების გაერთიანება თავისი სარდლობით. ჩრდილო-კავკასიაში მოქმედი წითელი არმიების სარდალმა სოროკინმა უღალატა საბჭოთა ხელისუფლებას, და თეთრმა არმიებმა იწყეს წითელი ჯარების შევიწროვება. მე-XI წითელი არმია განიცდიდა ყუმბარების, საჭურველის, სურსათის ნაკლებობას, მძვინვარებდა პარტახტიანი ტიფი, არმია დღითიდღე დნებოდა.

ამ სასიკვდილო საფრთხის შავ-ბნელ დღეებში ამხ. სერგო რაზმავდა ბოლშევიკებს და რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს, აწყობდა პარტიზანულ რაზმებს, ანმტკიცებდა რაზმების დისციპლინასა და მებრძოლ სულს.

მე-XI არმიის ძირითად ნაწილთა ასტრახნისაკენ დახევის შემდეგ ამხ. სერგო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ჯგუფთან ერთად წავიდა ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მთებში, სადაც ღარიბი მთიელი გლეხობა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით კვლავ აგროვებდა მებრძოლ ძალებს თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1919 წლის გაზაფხულზე ამხ. სერგო თოვლით დაფარული კავკასიონის ქედით არალეგალურად გაიჭრა მენშევიკურ საქართველოზე გავლით ბაქოში, შემდეგ თურქმენთა სათევზაო ნავით გაემართა ასტრახანს და იქიდან მოსკოვს გაემგზავრა.

მოსკოვიდან ამხ. ორჯონიკიძე გაიგზავნა დასავლეთის ფრონტზე ამხანაგ სტალინთან და დაინიშნა მე-XVI არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს წევრად.

მამონტოვის მიერ სამხრეთის ფრონტის გარღვევის შემდეგ ამხ. სერგო ლატიშთა დივიზიის სათავეში გააქანეს სამხრეთის ფრონტზე და დანიშნეს მე-XIV არმიის რევსამხედრო საბჭოს წევრად.

სამხრეთის ფრონტზე უდიდესი როლი ითამაშა ამხანაგ სტალინის მიერ წამოყენებულმა სამხედრო ტაქტიკის ცვლილებამ—დამკვრელი ჯგუფების გამოყენებამ.

ამ პერიოდში ამხანაგმა სტალინმა ამხ. სერგო სათავეში ჩაუყენა მე-XIII და მე-XIV წითელი არმიებისაგან შემდგარ დამკვრელ ჯგუფს.

ამხ. სერგო, ამხ. კიროვთან და ტუხაჩევსკისთან ერთად, ხელმძღვანელობდა დენიკინის არმიების ნაშთთა შემდგომ განადგურებას ჩრდილო-კავკასიაში.

ჩრდილო-კავკასიაში ამხ. სერგო მტკიცედ ანხორციელებდა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ამხ. სერგო ჩრდილო-კავკასიაში აშენებდა ნაციონალურ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკებს.

1920 წლის აპრილში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატი აჯანყდა მუსავატისტთა და ინგლის-საფრანგეთის ინტერვენტთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებით აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს დახმარება გაუწია გმირულმა მე-XI წითელმა არმიამ ამხანაგების ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის მეთაურობით. ამ არმიას მაშინ ამხ. ლევანდოვსკი სარდლობდა.

ამხ. სერგო აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგაც, 1920 წელს, ბაქოში ყოფნისას, კვლავ ხელმძღვანელობდა თეთრგვარდიელთა ნაშთების განადგურებას ჩრდილო-კავკასიაში, მან მოაწყო ყუბანში გენერალ ულაგაის დესანტისა და ჩრდილო-კავკასიაში თეთრგვარდიელთა ცალკეული ბანდების ლიკვიდაცია.

1920 წლის 29 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა სომხეთში.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა, უცხოეთის იმპერიალისტებთან დაკავშირებულებმა, მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რუსეთს და გადააქციეს იგი უცხოეთის ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის პლაცდარმად.

მენშევიკურმა დიქტატურამ საქართველო სრულ ეკონომიურ გაჩანაგებამდე და კულტურულ დეგრადაციამდე მიიყვანა, მუშებსა და გლეხებს წარმოუდგენელი გაჭირვება და ტანჯვა-წამება განუმზადა.

მენშევიკებმა მოაწყეს საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა—ოსთა, აფხაზთა, აჭარელთა სისხლისმღვრელი რბევა-აწიოკება. დაშნაკებთან ერთად მათ მოაწყეს ქართველ-სომეხთა სისხლისმღვრელი, ძმათამკვლელი ომი.

საქართველოს მშრომელნი აჩაღებდნენ ბრძოლას მენშევიკთა და ინტერვენტთა ბატონობის წინააღმდეგ.

ლენინისა და სტალინის მითითებებით ამხანაგების ორჯონიკიძისა და კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოს მუშები და გლეხები 1921 წლის თებერვალში აჯანყდნენ მენშევიკებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ და გმირული წითელი არმიის დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

1921-დან 1926 წლამდე ამხ. სერგო იყო ამიერ-კავკასიის პარტიული ხელმძღვანელი (რ.კ.პ. (ბ) ც. კ-ის კავბიუროს, ხოლო შემდეგ საკ. კ. პ. (ბ) ა.-ჯ სამხარეო კომიტეტის მდივანი).

ამხ. სერგოს უშუალო ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ლენინისა და სტალინის მითითებათა განუხრელად შესრულების საფუძველზე, ანტისაბჭოთა პარტიების—მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატისტების ნამსხვრევებთან ულმობელ ბრძოლაში, ნაციონალიზმთან და ნაციონალ-უკლონიზმთან შეურიგებელ ბრძოლაში განამტკიცეს პროლეტარიატის დიქტატურა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში—საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანში, შეჰქმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელმაც უზრუნველჰყო ამიერ-კავკასიის ხალხთა ნაციონალური მშვიდობიანობა და მეგობრობა.

პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაციონალურ რესპუბლიკათა აყვავების, სოციალისტური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაშლის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი გატარება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მიერ, ამხ. ორჯონიკიძის მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ დიდი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებისათვის და სავსებით გადასჭრა მის წინაშე დასმული ყველა ამოცანა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა ყველა ამ წარმატებაში დიდი როლი ეკუთვნის დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხ. ორჯონიკიძეს.

მე-X ყრილობაზე ამხ. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა რ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრად.

1926 წელს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და ც. საკ. კომისიის ოქტომბრის პლენუმზე ამხ. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის თავმჯდომარედ და დაინიშნა სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად.

1930 წლის ნოემბერში ამხ. ორჯონიკიძე დაინიშნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო მერე, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციის შემდეგ, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად.

1930 წლიდან ამხ. სერგო უცვლელად არის საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი.

უდიდესია ამხ. ორჯონიკიძის დამსახურება, როგორც მძიმე მრეწველობის არმიის სარდლისა.

მძიმე მრეწველობას, ამხ. სერგოს ხელმძღვანელობით, ძლევამოსილად მიჰყავს წინ სსრ კავშირის მთელი სოციალისტური ეკონომიკა.

ამხ. სერგო სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის ხელმძღვანელობაში განუხრელად, თანმიმდევრობით ანხორციელებს დიდი სტალინის მითითებებს; იგი ჰქმნის და ჩვენი პარტიის სტალინური ც. კ-ის გარშემო რაზმავს საუკეთესო სამეურნეო კადრებს.

ამხ. სერგო მოქმედების ადამიანია, რომელსაც უნარი შესწევს მოაწყოს გამარჯვება გაშლილი სოციალისტური შეტევის ყველა სიძნელეზე; იგი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სტალინური სკოლის გამოჩენილი ოსტატია.

ამხ. სერგო ჩვენი დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის უახლოესი, საიმედო და ერთგული თანამებრძოლია.

იგი არის ლენინურ-სტალინური პარტიის ერთერთი საყვარელი ხელმძღვანელი.

მთელ თავის ბოლშევიკურ გონებას, უდრეკ ნებისყოფას, ენერგიასა და ენტუზიაზმს ამხ. სერგო ყოველდღიურად, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ ისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, ანდომებს ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის სსრ კავშირში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

ალ. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲛᲝᲛᲝᲒᲘᲕᲠ ᲡᲔᲠᲑᲝᲡ

შენი გარჯით და მარჯვენით
საბჭოეთის მიწა ლაღობს.
სიამაყე გამარჯვების
სალ კლდეებსაც რკინად ადნობს.

დიდ ბელადის მოწაფე ხარ
და პარტია გმირად გზრდიდა.
არასოდეს გადახრილა
შენი ბიჯი ბრძოლის გზიდან.

მტრის ღმუილი ვერ შელახავს
მშრომელთ გულში გაზრდილ შვებას.
ცას აპობს და ზღვებს მიარღვევს
სტახანოველთ მკერდით შებმა.

გვახსოვს: შენმა შეძახილმა
დარიალის კლდე გააპო.
ახლაც ბრძოლით ანთებულ გულს
ქარიშხალიც ვერ გააქრობს.

ჩვენ „ᲩᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲔᲚᲘᲡ“
დიდ სამშობლოს მტკიცედ ვიცავთ,
ბაღნარებად გადაქცეულს,
სად თვითეულ მტკაველ მიწას
მისი აზრის კვალი აზის,
რომ აყვავდა ჩვენი მდელო;
შენც მასთან ხარ, მშობლიურო,
და გვსურს დიდხანს იდღეგრძელო...

ᲑᲐᲚᲐᲓᲐ ᲘᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲓᲔ

ორი ვაჟი მოესწრო და საჭურველში ჩასვა იმ წამს,
სიკვდილამდის რომ დაიცვან რესპუბლიკის დიდი მიწა.
თვალში ცრემლი მოერია და შორს ველზე შვილებს ხედავს,
მიაძახა: „ომში, შვილნო, დოლორესი გყავდეთ დედად.
მე მოვხუცდი, თვალის ჩინი ჩაქრა, თუმცა გულში ვნატრობ
თქვენთან ვიყო, ამ ქოხმახში რა დამარჩენს მრხუცს მარტო.
რესპუბლიკის ამაყ დროშას არ გაუშვათ წუთით ხელი,
რადგან იგი მუდამ იყო მტრის წინაშე დაუხრელი.
იბარური გყავდეთ დედად... დე, გფარვიდეთ ხალხის ზრუნვა
ნურასოდეს გამეგონოს დაჭრილ გულთა კვნესა, ურვა.
შემოდგომა დადგა ბაღში, ვენახს უჩანს კარგი პირი.
მაგრამ მისთვის ვის სცალიან, კარზე გვადგას გასაჭირი.
მტერი დასცით, შემოდგომა ისევ მსუყე, ისევ კარგი
ჩვენს ვაზებში ჩამოდგება ოქროს ძაფით მონაქარგი.
რესპუბლიკის ლამაზ მთა-ველს წამლის სუნი ღრუბლად ადგას
მზის სხივს მკლავი ამოიყვანს, ძირს რომ დასცემთ ველურ ბანდას
მერე მოხვალთ ცეკვით, მღერით, გაჩაღდება ყველგან ლხინი
სამშობლოს რომ ვაჟკაცურად მოაშორეთ გასაჭირი.
გავალთ ველზე, დავკრებთ ვარდებს, შემოვსძახებთ სერენადას,
რადგან მხარეს ერთგულები ბევრზე ბევრი დაებადა.
ახლა წადით, მტერს შეებით, დაფოლადდეს ომში ძვლები,
საგაისოდ მინდა მყავდეს ტანმაღალი პატარძლები“.

მამის საფლავს დაეძებდა,
ის წააწყდა ველურ რისხვას.
დაიჭირეს და ჯალათმა
გარკვეული მისცა კითხვა:
„ორში რომელს აირჩევდი—
სიცოცხლეს თუ რესპუბლიკას“?

ბავშვმა დინჯად გაიღიმა,—
ჯალათების შეკრთა ხროვა—
ის „ყველაფრის“ თქმას შეპირდა,
შესაფერი დროც იშოვა;
„ჯილდოდ“ ერთი პაპიროსი
და ასანთი მოითხოვა...

მიაწოდეს და პატარის
ქცევამ ყველა გააოცა,
დამშვიდებით გააბოლა...
შეტორტმანდნენ მაშინ, როცა
მან ასანთი შეუმჩნევლად
სახელოში შეაცოცა.

და შესძახა: „მტარვალებო,
ისტორიის ბრუნავს ჩარხი,
რესპუბლიკის დიად დროშას
ეს მუქარა ძირს ვერ დახრის;
თქვენ კი, კრულვით მოგიგონებს
ესპანეთის დიდი ხალხი“...

გაათავა და უბიდან
ყუმბარამაც იგრიალა.
ის ადგილი შეარყია
აფეთქების მქუხარ ძალამ,—
ბავშვთან ერთად მტარვალების
ხროვაც იქცა ცეცხლის ალად.

შაჰრო სამადაშვილი

გათენდა. შუქი მხრებში გაშლილ ქალაქს იუფლებს.
აქამდე მოსულს მომყოლია ფიქრები ბევრი.
გამიკვირდება ამ მადლიან მიწის სიუხვე...
სიხარულს მახლის საამაყო კოშკების ტევრი.

მეც მსურს ვიმღერო, რომ მღერიან ნავთის მილები.
შემომხედავს და გამიცინებს მკლავმარჯვე გმირი.
მომაგონდება: კომისრები დახოცილები
და ტყვიის შხამით გატანჯული უდაბნო მწირი.

როგორ ჩააქრეს ჯაფარიძის თვალებში ელვა,
მკერდდაფლეთილი იძახოდა: „მწამს გამარჯვება!“
და, მართლაც, მალე ქართა ქალაქს დაუცხრა ღელვა,
გმირების სიტყვა დაეკიდა კოშკებს ხანჯლებად...

მშრომელმა ხალხმა გადაკვეთა მტარვალთა ძალა.
და ხალხთ სიხარულს შავი ნისლი შემოაცალა.

ცაზე მზეა და აქვს კოშკებთან სხივებს ალერსი.
მქუხარე ბაქო შობს სიხარულს გმირობის დროში.
წმინდაა გული და განცდები, ვით ოცდა ექვსი
კომისრის სისხლი, დანთხეული ცხელ უდაბნოში.

---

2. „ჩვენი თაობა“

ქოხებს მზე ოქროდ ფერავს,
ბაღებს ქოჩორი ადგა.
სოფელი კაბას კერავს,
ზაფხული უკვე დადგა.

მწვანე ფოთლებში ატამს
წითლათ მოუჩანს ლოყა,
მზე სხივებს კოცნას ატანს,
ღამეს კი ცვარი მოჰყავს.

სოფლის ღაჟღაჟა ქალებს
თავზედ გვირგვინი ადგათ,
სიცოცხლე ფერავს თვალებს,
ზაფხული დადგა რადგან.

ბიჭები ყანას მკიან,
მკლავმა არ იცის დაღლა.
მარცვლები ისე ყრია,
როგორც ოქროს წყლის დაღვრა.

მდინარე მოდის ნელად
და მზის ამბორი უნდა,
გადაჭიმულა ველად,
სიმღერა მოაქვს მუდამ.

მოდის და მოდის მღერა,
როგორც მდინარის ვარდნა,
გადმოიბნევა ჟღერა,
როგორც ფოთლების ბარდნა.



ღამდება, გასცდა ულელტეხილებს
უკანასკნელი სხივის ფათური,
მე კი მწყუროდა კიდევ მეხილა
ზღვა, მზის კალთებით გადახატული.

ან და ენგურის გადავერცხლება,
ტალღები თეთრი, ტალღები ცივი,
სადაც ქანაობს და იკეცება
ტანდაზნექილი ლერწმების მწკრივი.

სადაც ჩურჩულებს ჯეჯილი ჩვილი,
მზის ცრემლად შტოზე შუქი უშრება,
უკანასკნელი ჩინარის ჩრდილი
ქანაობს ზვირთზე და იშმუშნება.

თითქოს გუგული მიყეფდა გუშინ,
მსდევდა ენგურის ბუტბუტი ცალკე...
დედის წერილი ჩავიკარ გულში
და დასავლეთით მივეყრდენ სარკმელს.

ის, ჩიტისგულა, ცრემლით მიგონებს,
ვერ მალავს დარდებს, მშობლიურ სურვილს
და მოხუც მამის ნაწერ სტრიქონებს
მოჰყვა გამარგლილ სიმინდის სუნი.

მშობელო მიწავ, ახლა შენს მკერდზე
ჯეჯილი ლურჯი მღერის და ჰყვავის.
ენგურიც მწყრალი ნაპირებს ეძებს,
გაზაფხულის და მთების მაყარი.

საღამოს სიო გადაიქროლებს,
შეხედავს ზეცას ჭკვიანი თვალი.
ოფლიან შუბლზე შეთხზავს სტრიქონებს
ჩუმი ღიმილის ნათელი მკრთალი.

აქარგავს ეზოს, ყანების შრიალს,—
შემდეგ ენგურთან ჩერდება მთვარე.
ზეცას გულმკერდი გადაუშლია;
დარია გულში, დარია გარეთ...,

გუგულის ხმაზე ნისლი ირღვევა,
ფითრდება ღამე თმაგიშრიანი.
წაეკიდება ცეცხლი სიმღერას
და ჯეჯილებში წავა შრიალით.

ტყე მოხარული ატეხავს ხივილს,
რომ მის გულშიაც სიმღერა სცოცხლობს
და ვნებიანი პირველი სხივი
ფორთოხლის მკერდში დაანთებს კოცონს.

ახლა წერილი მოჰყვება ამბავს
და ჟრუანტელი ძარღვებში მივლის.
ბულბული ისევ მეძახის, ალბათ,
ყოველ საღამოს და ყოველ დილით.

მე აქ ალიონს რუსთველით გავშლი,
ოცნების ჩრდილით შუბლდაღარული.
სდუღს, იფერფლება წიგნების ყდაში
ღამე, ფოქრები და სიყვარული.

მთებს იქით ჩაწვა ზამთარი ცივი,
თმაშეეერცხლილი თეთრი ჭაღარით,
და ჩემს ფანჯარას ეკვეთა სხივი
ნაბადმოხსნილი, ნაყაჩაღარი.

ზამთრის ღამეში გული არ ბორგავს,
ჩრდილი გულს ვეღარ ასევდიანებს,
კრიალა ზეცა ახურავთ ქოლგად
მზეზე გამოსულ ადამიანებს.

ბედნიერია სიცოცხლე ჩვენი,
დიდ ეპოქაზე გმირნი მღერიან,
ბედნიერ ყოფას ხალისი ჰშვენის,
ჩვენი სამშობლო ბედნიერია.

გული, დიდებით ამაღლებული,
ნისლს არ იკარებს და აღარ ცხრება,
საამურ ყოფით გალაღებული,
დღეს მოხუციც კი ჭაბუკად ხდება.

ბედნიერია სტალინის მხარე,
მშობლიურ ნამით ზრდის თაიგულებს,
ზღვა სიხარული შინა და გარე,
ზღვა სიხარული ამხნევებს გულებს...

———

ვასილ ნამუურიძე

მახვილივით ამოწვდილი მზის სხივი
მკერდს ჩაესო მწვერვალს ელვის ხელებით,
სუსხზე ფიქრმა გადიარა ნისლივით
და ნოხებად გაიფინა ველები.

ჩანჩქერებით ახმაურდა ხეობა,
ლიახვს ზათქით ბანს აძლევენ ჭალები,
მღერის მიწა, ფეთქს ხალისი, მხნეობა,
ცა კამკამებს, როგორც მზალოს თვალები.

ახალ ზაფხულს ჰიმნით ხვდება სოფელი,
კოლექტივის ხნულში ჩადგა ბარაქა
და მინდვრების მიჯნა გასაყოფელი
გადაიქცა დავიწყებულ არაკად.

სადაც წინათ ბნელი იყო უკუნი,
და შურს ოგავდა მტერი გულგახელებით,
დღეს გაისმის ტრაქტორების გუგუნი
და ახალ ბედს სჭედენ სტალინელები.

მიტომ გული მეც სრული ხმით მამღერებს
ამ ახალი სიხარულის შეგნებით,
რო მზე ველზე ოქროს ააჩანჩქერებს
და ყანებს ზღვად დაარხევენ ზეგნები.

მიტომ მინდა,—ჩემი ლექსი პირველი
ჩემი კლასის ჰანგის იყვეს მკვესავი,
რომ მის წინსვლა და ზრდა გასაკვირველი
შიგ ბრწყინავდეს ამ ზაფხულის მზესავით.



წუხელ თითქმის აღარ წვიმდა,
თუმც ჭალებზე ნისლი წევს,
მხრები თეთრად შეუბრწყინდა
პერანგას და თაგოს მთებს.
კლდეებს ანგრევს ციხისძირთან,
რა მრისხანე ზღვაა დღეს!

ზოგჯერ ღმუის კლდის ნაპირას,
ზოგჯერ იავნანაობს.
თოვს, ხეებში დგება ჩრდილად,
ხან ტოტებში ქანაობს,
რა ლამაზად დათოვლილა
პალმის ნაზი მარაო.

შტოსთან ქარი შესარხევად
სიმღერებით მივიდა,
თითქო კლდეთა მოსალხენად
ხევშიც გაიჯირითა,
თითქო უკრავს ქოჩახელა
ჭიბონს ხიხაძირიდან.

ცვივა ფიფქი და ფარფალით
მკერდს გეყრება ვარდებად,
პალმა ტოტებს ათამაშებს
თოვლის ფარშავანგებად.
კართან დგება თებერვალი
„ხეში წყალი ჩადგება“.

ფორთოხალიც ტოტებს გაშლის,
დასკდებიან კვირტები,
და ისევე, როგორც ბავშვი,
ითთ დაიტვირთები,
სიყვარულის საბუდარში
ჩაფრინდება გვრიტები.

პერანგაზე იერიშით
მზე იშიშვლებს ოქროს ხმალს,
გადამარცვლავს ვინმე ძილში
სალამურის სავსე ხმას..
მალე ისევ პალმის ძირში
გესვრი მწიფე ფორთოხალს.

აღარა თოვს. ველზე ბინდად
ნისლი უკვე აღარ წევს,
მზე მაღლიდან დააბრწყინდა
პერანგას და თაგოს მთებს.
როგორ ღმუის ციხისძირთან,
რა ღელვა ზღვაზეა დღეს!

ნიკოლოზ დადიანი

სანდრო ძველი მუშაა და რევოლუციონერი. ახლა მოხუცებულია და დაავადებული. არ მუშაობს. მას ოთხი შვილი ჰყავს: სამი ვაჟი და ერთი ქალი. უფროსი ვაჟი, პეტრე, ტფილისის აბრეშუმის ქარხნის გამოჩენილი სტახანოველია. იგი ცოლშვილიანია. მეორე ვაჟი, გიორგი, დეპოს მუშაა სახელმოხვეჭილი გამომგონებელი, უცოლშვილოა. ამ დღეებში მოსკოვს მიემგზავრება. ქარხანამ იგი მიავლინა ცენტრში სასწავლებლად, როგორც უნიჭიერესი მუშა. მესამე, უმცროსი ძმა, ოთარი, 26 კომუნარის სახელობის ქარხნის სამჭედლო საამქროს მუშაა, ესეც სტახანოველი. ოთარი ცნობილი ფეხბურთელიც არის. ამათი და, თექვსმეტი წლის თინა, საავიაციო სკოლაში სწავლობს.

სანდრო დიდხანს იყო უბინოდ. ქალაქის განაპირას ცხოვრობდა, ნახევრად დანგრეულ სახლში. შვილები იქ გამოზარდა. სულ ორი წელწადია, რაც მის ვაჟს პეტრეს მშვენიერი ბინა მიასაკუთრეს ცენტრში, ოთხ-ოთახიანი, ვრცელი და ნათელი. სანდროს შვილებმა ერთი ოთახი მისცეს ამ ახალ ბინაში. უთხრეს:

— არაფერს დაგაკლებთ, მამა; რაც უბედურება გადაგხდომია შენს ცხოვრებაში, ის სიზმარი იყოსო.

დასვენების დღეა. მაგრამ ოთარი დღესაც ლოგინიდან ალიონზე წამოხტა. პირი დაიბანა და რადიომიმღებს შეუჩხიკინა. რადიომ ხმა არ გაიღო. მაშინ პატეფონს მიადგა და მომართა.

ახალგაზრდა მჭედლისათვის დღეს განსაკუთრებული დღეა. დღეს მას ცოლი მოჰყავს. ღელავს. მას აბრაზებს, რომ დას და ძმებს ჯერ კიდევ სძინავთ.

პატეფონის ხმამ უფროსი ძმა გამოაღვიძა-

— ერიჰა, რა ამბავია! ქორწილი დაიწყო თუ?

— მაშ! მაშ! . . . ადექით, გეყოფათ ამდენი ძილი!—უპასუხა ოთარმა.

მეზობელ ოთახიდან დამ გამოიძახა:

— ბიჭო, ჯერ კარგად არ გათენებულა! სულწასული ნუ ხარ!

ძმას ყურადღებაც არ მიუქცევია დის პროტესტისათვის.

პატეფონი უკრავდა.

ოთარი იატაკს ხელებით დაეყრდნო, ტანი შეისროლა და ფეხები აიყირავა. ასე ხელებზე შემდგარმა ოთახში გაიარა. ხელებზე სიარული ბავშობიდანვე უყვარდა. ჯამბაზსაც კი აჯობებდა. უფროსი ძმის ოთახს მიადგა. ამართული ფეხები ჰკრა და მიგ შევიდა. პატარა ძმისწულებს ხშირად ეწვეოდა ხოლმე ამ სახით და ამხიარულებდა.

ბავშვებსაც გამოღვიძებოდათ. დაინახეს თუ არა ხელებზე შემდგარი ბიძია, ერთი ამბავი ასტეხეს. წამოცვივდნენ და გარს შემოეხვივნენ. მაგრამ ამ დროს ოთახიდან საშინელი წრიპინი მოისმა და ყველამ ყური დასცქვიტა. პატეფონის ფირფიტა დასრულებულიყო და ნემსი ყრუ ადგილას დამჯდარიყო.

— ვაიმე, მოიშალა პატეფონი!—შესძახა თავდაყირა მდგომმა ძიამ, და კარებისაკენ ხელებზე გაიქცა!... ბავშვები აირივნენ. კარებში გაიჩხირნენ. ოთარმა წონასწორობა დაჰკარგა და იატაკზე ბრაგვანი გაადინა. ბავშვები ისე ახმაურდნენ, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. მათი საყვარელი ფინიაც გამოჩნდა საიდანღაც და წკავწკავით მივარდა ძირს გაშხლართულ ოთარს.

— ჩუმად, თქვე მაიმუნებო! ბაბუას გაეღვიძება!—გაუწყრა მათ ოთარი და წამოდგა.—გასწით აქედან!

ბაბუას ხსენებაზე ბავშვებმა ძის ოთახს მიაშურეს.

— ბაბუა! ბაბუა! რომ იცოდე, ძია როგორ დაეცა! — შესძახეს და ოთახში შევარდნენ. მაგრამ ოთახი ცარიელი დახვდათ.

— ვაიმე, სად არის ბაბუა?

— ბაბუა უკვე ამდგარა!

— სადღაც წასულა კიდევაც!

ეს ამბავი მეხივით გავადრა მთელ სახლში.

რძალი და ქალიშვილი შემოვარდნენ სანდროს ოთახში, მერმე მთელი ბინა შემოიარეს. დარწმუნდნენ, რომ სანდრო აღარსად იყო. მეტად აღშფოთდნენ. ეს როგორ მოხდაო ან რატომ მოხდაო?

სანდროს მძიმე ავადმყოფობა ჰქონდა გადატანილი და ახლაც არ იყო სრულიად მორჩენილი. მას ჯერ კიდევ სისტემატიურად უნდა ეწამლა და საექიმო რეჟიმი ზუსტად დაეცვა.

სანდრო კი ისეთი კაცი იყო, რომ წამლებს უყურადღებოდ სტოვებდა და რეჟიმს არ იცავდა. სახლშიაც არ ჩერდებოდა და სადღაც დადიოდა. სადილზედაც მუდამ იგვიანებდა. აღელვებული შვილები სად არ დაეძებდნენ მას, მაგრამ ვერ პოულობდნენ.

— სად იყავი?!... სად დაიკარგე?!... რად იკლავ თავს, რომ არ ისვენებ, წამლებს არ იღებ?...—უწყრებოდნენ მას შვილები, როცა შინ დაბრუნდებოდა.

— ნუ გეშინიათ, შვილებო, მე კარგად ვარ!... ისე, როგორც არასოდეს!... წამალს მე გულში ვატარებ, მას გარემო მაწვდის!—იყო მოხუცის ჩვეულებრივი პასუხი.

— რაღასაც უნდა ნიშნავდეს ეს სისტემატიური დაკარგვა.—ფიქრობდნენ შვილები და უკვირდათ.

— მაინც რისთვის დასჭირდა მამას ასე ადრე ადგომა და სახლიდან წასვლა?

თინამ სთქვა:

— ერთმა ამხანაგმა მითხრა: ერთხელ ისე ადრე ვნახე მამაშენი ჩვენსა წარმოებაზედ, რომ ვიფიქრე, სამსახური ხომ არ დაუწყია მეთქი. გამიკვირდაო...

— მეც მითხრეს, კალიაევის აღმართზე დადისო. უნახავთ. მოაჯირს მისწოლოდა და თავისთავს ხმამაღლა ესაუბრებოდა თურმე.

— არა, უთუოდ შეიშალა კაცი!.—დაუმატა ბოლოს მან.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მძიმე სიჩუმე ჩამოაგდეს. ოჯახის ყველა წევრს ერთად მოეყარა თავი სანდროს ოთახში. ბავშვებიც კი დამორჩილებოდნენ საერთო სიჩუმეს. მაგრამ მალე ისევ აირივნენ და ისევ უდარდელი ჭიდილი გააჩაღეს. მაგრამ ყველაზე უმცროსი იოთამი განზე გადგა და დიდივით მიაძახა მათ:

— გაჩუმდით, რაღა! ბაბუა შეიშალაო!

საქორწილო სუფრა უკვე გაეშალათ. სადილის დრო მოახლოვებული იყო.

— აბა, თქვენ იცით, თუ დღეს არ შემარცხვენთ! — მიმართა უფროსმა პეტრემ ქალებს.

— შენ არხეინად იყავიო, მიუგეს მათ.

ორი საათისათვის უკვე სტუმრებიც შემოკრბნენ. ხელმოწერაზე წასული ახალგაზრდები ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ და სტუმრები მხიარული საუბრით ერთობოდნენ.

სანდრო კი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. საცა იყო უნდა დამსხდარიყვნენ სადილად.

— სად არისო, იკითხეს სტუმრებმა და დაჯდომაზე უარი სთქვეს, უფროს კაცს დავუცადოთო. სანდროს ქალიშვილს ცრემლიც კი მოადგა თვალებზე.

ბოლოს პეტრე მიუჯდა სუფრას და სტუმრებიც მიიპატიჟა. ამ დროს სანდროც გამოჩნდა კარებში.

იგი მარტო არ იყო, მას ერთი ხნიერი კაცი თან ახლდა.

— მამავ, გვღალატობ? სადა ხარ ამდენიხანი?—მიაძახეს შვილებმა.

— განა გღალატობთ, შვილებო!... ერთი ჩემი მეგობარი მოგიყვანეთ!... დღეს მთელი დღე მასთან ვიყავი.

მიესალმნენ სანდროს მეგობრებიც, სუფრაზე მიიწვიეს.

— როგორც გატყობ, საიდუმლო ორგანიზაციას უნდა აწყობდე, მამა, ისე გაუჩინარდები ხოლმე ხშირად...

საერთო ხარხარი გაისმა...

— ესეც გამოირკვევა!—მხიარულად უპასუხა მამამ.

— ვფიცავთ, რომ მართლაც გამოსარკვევია! — დაუმატეს შვილებმა და ორივე მოხუცი მიუსხეს სუფრას.

— ჯერ ერთი ჭიქა ამივსეთ! — განაცხადა სანდრომ. წამსვე თითქმის ყოველ მხრიდან ღვინო მოაწოდეს მას.

სანდრო წამოდგა.

— შევსვათ ჩვენი ბელადის სადღეგრძელო, შვილებო და ამხანაგებო...

იგრიალა ტაშმა. სანდრომ დასცალა ჭიქა.

მოხუცი ფეხზე იდგა და ეტყობოდა, რომ სათქმელი კიდევ ჰქონდა.

მან განაგრძო:

— ახალგაზრდებო, თქვენ მხოლოდ ნაამბობით და წიგნით იცნობთ იმ მძიმე და ბნელ დროს, რომელიც ჩვენ მოხუცებულებმა განვვლეთ. ჩემი ახალგაზრდობა ასეთი ბედნიერი კი არ ყოფილა, როგორც თქვენია. ახლა მაგონდება ერთი ამბავი ჩემი წარსულიდან და მინდა გიამბოთ.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— წინათ მე სხვა ოჯახი მყავდა, ღარიბი ვიყავი, როგორც ყველა მუშა კაპიტალისტის კლანჭებში მყოფი. ხშირად ულუკმაპუროდ ვრჩებოდით. უშწეო ექსპლოატაცია ვის არ გამოიყვანდა მოთმინებიდან. ერთ დღეს მოვახდინეთ გაფიცვა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა დაეკმაყოფილებიათ, ყველანი დაგვითხოვეს და ჩვენს ადგილზედ სხვები მიიწვიეს. მაშინ გამწვავდა ბრძოლა. ქარხანას ცეცხლი წავუკიდეთ, ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ შეგვიპყრეს და საპყრობილეში ჩაგვყარეს; მერე სხვებთან ერთად მეც გადამასახლეს შორეულ ქვეყანაში. ვინ იტყვის ჩემს გულში რა ცეცხლი ენთო... ჩემი ცოლი უპატრონოდ და ულუკმაპუროდ დარჩა, სამი წვრილი შვილით ხელზე... რა მექნა? გადავწყვიტე: ან დავიღუპები ან ჩემს ცოლ-შვილს დავუბრუნდებიმეთქი. გამოვიქეცი. დამიჭირეს. დამაბრუნეს და დამსაჯეს. მეორედ გამოვიქეცი ერთი წლის შემდეგ. ამ გზობაზე ბედმაც გამიღიმა.

ჩემი ბინა, რომელშიც დავტოვე ჩემი ცოლ-შვილი, ქალაქის განაპირას იყო. იგი მიწურს წარმოადგენდა, რომელსაც კარები და სარკმელი მე გავუკეთე. ჩამოსვლისთანავე ამ ჩემს მიწურს მივაშურე. როცა მივუახლოვდი, მომეჩვენა, რომ იგი სრულიად გაპარტახებული იყო. ნუთუ წასულან, მიუტოვებიათ აქაურობა?! მიველ. ჩამი-ჩუმი არ ისმის. სახლის კარი ჩამოგდებული იყო. სარკმელი მოშლილი. თვალთ დამიბნელდა! შევსდექ სახლის წინ. მოშლილ კარებში შევიხედე. სრული სიცარიელეა! მაგრამ ერთგან კუთხეში თითქოს მოძრავ ჩრდილს ვხედავ. ვერ გავარჩიე. შიგ შევედი, ვიღაც ეგდო ჩვრებში გახვეული... ჩემსკენ წამოიწია...

— რა გინდა?—შემომესმა.

— როგორ თუ რა მინდა!—ვუპასუხე და დავაკვირდი. იგი ნაცნობი-მაწანწალა აღმოჩნდა, რომელიც ხშირად მოსდგომია ჩემს კარებს და გაგვიკითხავს, თუ რამე გავვაჩნდა.

— შენ აქ რა გინდა-მეთქი, ვკითხე. აქ ჩემი და სცხოვრობდა შვილებითურთ!

და-მეთქი თავდაცვის გრძნობამ მათქმევინა, თავი რომ არ გამეცა...

— კარგი ძმა შენა ყოფილხარ!—მიპასუხა დედაბერმა.—ამოწყდნენ და შენ კი ახლა მოხველიო.

— როგორ, ჩემი სამი შვილი!... ჩემი მეუღლე!...

— სამი შვილი? ძე ორი ვიცი, თუ ჰო... ის პატარა იმ თავითვე მოკვდა!— და დედაბერმა შიგ სახეში შემომამთქნარა და განაგრძო:

დედამ კი ვერ აიტანა უბედურება, მალე დასნეულდა, ლოგინში ჩავარდა. ბავშვებს კი რა ექნათ? იწყეს წანწალი. ზოგჯერ შინ არც ბრუნდებოდნენ, ერთხელ წავიდა საწყალი დედა საძებრად. ერთი იპოვნა, მეორე ვერა. ბოლოს ის მეორეც აღარ დაბრუნდა შინ. სამიო, ამბობ შენ... იმას რა მოუვიდა, არც

მაგონდება... ჰო, უფრო ადრე დაიკარგა. დედა ვნახე ქუჩაში ერთხელ. უცნაურად, მრუდედ მოადგამდა ფეხებს ხელებგაშვერილი. სულ შვილების სახელს იძახოდა, უხმობდა მათ!... თურმე თვალებში ვერ იხედებოდა... სიმწარისაგან სინათლე დაკარგოდა!... მერმე ბევრი აღარ უცოცხლია.

მითხრა ეს დედაბერმა და უცებ გიჟივით შემომაშტერდა... მერმე ხრინწიანი ხარხარი მორთო.

— ეგ რა მოგსვლია, შე უბედურო, — მითხრა. — როცა შემოხვედი, შავი თმები გქონდა, ეხლა კი თეთრი გაქვსო!...

აქ გაჩუმდა სანდრო. ამოიკვნესა. ყველა მას მისჩერებოდა.

სანდრომ განაგრძო:

— მე ვიბრძოდი, შვილებო, შეუსვენებლად... ვიბრძოდი, და ჰა, მოვესწარი გამარჯვების დღესაც... ახლა სამშობლოს მე თუ არა, ჩემი შვილები გამოადგებიან. მაგრამ არც მე მინდა გულზე ხელებდაკრებილი ვიყო. ხოლო გული მწყდება, რომ ვერ ვმუშაობ, ჩემი შვილები ამიტყდნენ შენ ეხლა უნდა მოისვენოო. მე კი ვეუბნები: მე კარგად ვარ! კარგად!... ისე, როგორც არასოდეს!... ჩემი წამალი აქ გულში მაქვს, რომელსაც გარემო მაწვდის!... ეს ჩვენი ახალი ქვეყანაა, რომელიც შენდება. მე მას ვუმზერ, ვათვალიერებ, დავდივარ, ქებას ვუმღერი... ზოგს ჰგონია, თავს ვესაუბრები. ამ დღეებში ქალაქში ახლად გაშენებულმა ბაღებმა გამიტაცეს!... ერთ ბაღში ჩემს ძველ მეგობარს წავაწყდი... მითხრა, ხვალ საკვირველ საქმეს განახვებო. დღეისათვის დამიბარა ადრე. წავედი. ვეებერთელა ხეებს რგავდნენ ბაღში. გუშინ ცარიელი რომ იყო, ის ადგილი დღეს ტყით არის მორთული... ჩემი გული დღეს იმ ბაღივით ჰყვავის...

ამხანაგი პოლკოვნიკი

ფარისევლურად მოღიმარ პარიკმახერს ქვითარი გადასცა, თეთრი ხალათის კალთები გაისწორა, ოდნავ წინ წამოსწია პატარა ბრაუნინგის ბუდეს, ხელი გადისვა გვერდზე გადავარცხნილს, გაჭაღარავებულს თმაზე და ქუდის ასაღებად მიბრუნდა.

ტანმორჩილმა, ლურჯ სპეცსამოსიანმა მოხუცმა სწრაფად ჩამოიღო საკიდიდან წითელვარსკვლავიანი თეთრი ქუდი და პატრონს გაუწოდა.

— ხეჰ... ამ-ხა-ნა-გო პოლკოვნიკ!...

ისინი ერთს წუთს შესცქეროდნენ ერთმანეთს, შემდეგ მოხუცმა გაიღიმა და უსწორმასწორი, ჩაშავებული კბილები გამოაჩინა.

— ვერ მიცანი, ოთარ?...

— ერმილე ივანეს ძევ!...

პარიკმახერებმა მუშაობა შესწყვიტეს და გასაპნული სახეებით მათკენ მობრუნდნენ.

ოთარი მოეხვია ძველს მეგობარს, და წამსვე მოსცილდა: „სპეცოვკას“ ხელის საპნისა და წეკოს გამაბრუებელი სუნი ასდიოდა.

— საიდან, კაცო, როგორ? შენ ცოცხალი აღარ მეგონე...

მოხუცი უცნაურად იღიმებოდა. ხშირი წარბები ჭროლა თვალებს უმალავდა.

— მკვდარი ვარ, აბა რა ვარ, ოთარ ჩემო. შენ კი... — მოხუცმა კიდევ უფრო დაიჩრდილა პირისახე ჭაღარა წარბებით.

მან ჭროლა თვალები მოავლო მეგობრის საყელოს.

— ჰოო... მე ვმსახურობ.

ოთარი თითებით შეეხო საყელოზე დაკრულ წითელ სწორკუთხედებს.

— ქართული ცხენოსანი ლეგიონის მეთაური ვარ.

მოხუცმა თავის ფეხსაცმელებს დახედა და ჩაიცინა.

— აი, მეც ვმსახურობ, საპირფარეშო „ახალი ცხოვრების“ -დამლაგებელი ვარ.

ოთარმა უხერხულად შეათამაშა ქუდი ხელში და თავზე დაიხურა.

— მაინც, სად იყავი აქამდე გადაკარგული?

მოხუცმა ხელი ჩაიქნია:

— გრძელი ამბავია, ჯერ სამოქალაქო ომი, შემდეგ კიდევ ბევრი სხვა რამ... დავეხეტები. ბოლო დროს როსტოვში ვცხოვრობდი. ამ გაზაფხულზე ჩამოვედი ტფილისში.

— ეხლა ვისთან ხარ?

— ნათესავთან მოვეწყე. ჩვენს სახლებში ვიღაც უცხო ხალხი დგას. — მოხუცმა თავი ასწია და ისევ მოავლო თვალები მეგობრის საყელოს, — შენ კი, აი თურმე რა...

ოთარმა კიდევ უფრო უხერხულად იგრძნო თავი და პარიკმახერებს გადახედა, ისინი უთუოდ ყურს უგდებდნენ მათს საუბარს.

— შემოიარე ჩემთან, ერმილე...

ერმილემ თუნუქის სათუთუნე ამოიღო და გახსნა. ოთარმა პაპიროსი მიაწოდა, შემდეგ თითონაც ორის თითით აიღო მსუქანი პაპიროსი. თავი დაუსრისა, ასანთს გაჰკრა და მოლურჯო კვამლის ფარდიდან ძველს მეგობარს თვალი თვალში გაუყარა.

— მაშ, ბოლშევიკებთან მსახურობ? — ჩაილაპარაკა ერმილემ.

ოთარმა თითებშუა გასტეხა პიპიროსი.

— როგორც ხედავ.

— ჩვენ ძველი კადრის ოფიცრები ვიყავით, ოთარ.

ოთარმა მოუთმენლად გაიხედა ქუჩისკენ.

— იცი რა გითხრა, ერმილე? მე ვემსახურები მშრომელ ხალხს. ხომ იცი, რომ ბოლშევიკებმა გააცოცხლეს და განაახლეს საქართველო...

ერმილემ მკლავში ხელი ჩაავლო მოსაუბრეს:

— დავანებოთ ამას თავი, ოთარ, ვთქვათ ეს ასეა. მაგრამ შენ? შენ ხომ გამოგიყენეს ბოლშევიკებმა და მეტი არაფერი, გესმის? გა-მო-გი-ყე-ნეს. სამხედრო სპეცი, იცი ეს რას ნიშნავდა სამოქალაქო ომის დროს? ერთი შეცდომა, ან გაუგებრობა და... კედელთან.

ოთარმა იგრძნო, რომ სისხლი მოაწვა სახეზე და ყურები აეწვა.

— უკაცრავად, — დაბალი ხმით სთქვა მან, — მე მენდობიან, მე ღრმა რწმენით, შეგნებულად ვეხმარები მათ, შექმნან უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული რეგულარული ჯარი, რომელიც ამჟამად ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ისინი, რომ არ მენდობოდნენ, პოლკოვნიკის ხარისხიც არ მექნებოდა.

ერმილემ ოთარის მკლავს ხელი გაუშვა.

— ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოს.

— ბოდიში. — ცივად სთქვა ოთარმა და ხელი ქუდთან მიიტანა, — მეჩქარება.

მოხუცმა მინგრეული ფეხსაცმელების ქუსლი-ქუსლს მიარტყა და ოდნავ წინ გადმოიხარა.

— გამარჯვებით, ამხანაგო პოლკოვნიკო!

კარებისკენ წასულმა ოთარმა სარკეში დაინახა, როგორ გააყოლა მას თვალი ერმილემ.

ოთარი ავტობუსების გასაჩერებელ ადგილისკენ გაემართა.

ავჭალის ბანაკში უნდა წასულიყო და დიდუბეში არმიელი ელოდებოდა ცხენებით ტრამვაის უკანასკნელ გასაჩერებელთან. მას მზისგან სახედამწვარი ახალგაზრდა არმიელი დახვდა. დიდხანს ხომ არ მელოდიო, შეეკითხა ოთარი. არმიელმა უპასუხა: — არა, ამხანაგო პოლკოვნიკ, ხუთი წუთიც არ იქნება.

ოთარს ისევ მოაგონდა მოხუცი ნააფიცრალი.

მას მოაგონდა, როგორ გაიცნო პირველად ერმილე თურასელი.

მსოფლიო ომის დროს, რუსეთის თვითმპყრობელობამ, როცა გაუჭირდა, ნაციონალური ნაწილების შექმნა დაიწყო. 1916 წელს ჩამოაყალიბეს ქართული ცხენოსანი (დრაგუნთა) პოლკი. მეთაურობა ავსტრიის ფრონტზე წარჩინებულს პოლკოვნიკს, თავადს დავით ჭავჭავაძეს მიანდეს. პოლკს ლამაზი ფორმა ჰქონდა: ჟოლოსფერი, ცისფერკანტებიანი მრგვალი ქუდი და ჟოლოსფერივე „პაგონები“ ოქრომკედის ასოებით.

მოსკოვის სამხედრო მუზეუმიდან გამოიტანეს ერეკლე მეფის ტროშა და კავკასიის მთავარმართებელმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ტფილისის სამხედრო ტაძრის წინ საზეიმოდ გადასცა იგი მუხლმოდრეკილ დავით ჭავჭავაძეს.

პოლკი ირანში გადაისროლეს. ოთარ ბუჩიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ „პორუჩიკი“, კაპიტან ერმილე თურასელის ესკადრონში მოხვდა.

ერმილე თურასელმა კარგად მიიღო მასზე რამდენიმე წლით უფრო ახალგაზრდა ოთარი. თურასელი ტიპიური წარმომადგენელი იყო იმდროინდელი ქართველი ოფიცრობისა. კოხტად იცვამდა, ქალალდს თამაშობდა.

ფრონტისკენ მიმავალი ოფიცრები ქეიფით დღე-ღამეს ასწორებდნენ. ბაქოში ოფიცრებს ჯარისკაცებმაც მიჰბაძეს, სამეძაო სახლები აიკლეს, მეზღვაურები მიტყიპეს და გენერალ-გუბერნატორმა „გიჟი ქართველები“, სხვა რომ ველარაფერი მოახერხა, გემში ჩასხა, ზღვაში გაიყვანა და ოთხი დღე რეიდზე აყურყუტა.

რუსეთის ჯარები ჰამადანისკენ მიიწევდნენ და ქართული პოლკი მეანტაგის ხეობაში შეგზავნეს.

მეანტაგის ხეობას სიგანე ერთი კილომეტრი აქვს და სიგრძით შვიდ კილომეტრამდე იქნება. ორთავ მხარეს მაღალი კლდეებია ამართული. კლდეებზე ქურთებს სოფელი აქვთ გაშენებული.

მწირია ბუნება, დღისით მზეზე ბოლავს და იწვის ქვებზე ამოსული მთის ეკლიანი ბალახი; ღამით კი ქურთები ყინვისაგან თავს ცხვრის ტყავებით იფარავენ.

მიუვალ კლდეებში ჩასაფრებულ ქურთებს ვილჰელმ კაიზერის მიერ გამოგზავნილი სამხედრო ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდნენ, გერმანელი მეტყვიმფრქვეველნი ეხმარებოდნენ და თურქების სამთო ზარბაზნები ამხნევებდნენ.

ქართველების პოლკი ჩამოქვეითდა და ცხენები ხეობის შესავალში დასტოვა.

პატარაობიდანვე იარაღს შეზრდილი ქურთები გაშმაგებით იცავდნენ თავიანთ სოფლებს. ქალები და ბავშვები მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ, აგორებდნენ ვეებერთელა ლოდებს. ქურთებს „დუმ-დუმის“ ტყვიები ჰქონდათ, განუწყვეტლივ

კაკანებდა გერმანული ტყვიამფრქვევები და მეანტაგის რუხს ქვებზე ჟონავდა ქართველი ბიჭების სისხლი.

პოლკში უმრავლესობა ახალგაზრდობა იყო, მათ აქ პირველად იყნოსეს დენთის სუნი.

საცხენოსნო ფეხსაცმელებს ბასრ ქვებზე ძირები დაუცვდა და ნახეტრად ფეხშიშველნი იბრძოდნენ.

დივიზიის მეთაურის ბარათოვის ბრძანებით ქართულ პოლკს იერიშით უნდა აეღო მეანტაგის ხეობა.

გაისმა კომახდა:

—იერიშით წინ!

წამოიშალნენ ჟოლოსფერქუდიანი ბიჭები, დაუკრა ზურნამ და ვიღაცამ მაღალი, კრიალა ხმით შემოსძახა:

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“

მეანტაგის ხეობა შესძრა მწყობრმა გუგუნმა.

ათასხუთასი ახალგაზრდა თვალებგაფართოვებული, სახეზე სისხლმოწოლილი, ხიშტებგაწვდილი მიაბიჯებდა წინ, ისინი მღეროდნენ წინაპრების ძველისძველ სიმღერას, მაგრამ აქ, სამშობლოს დასაცავად კი არა, ქურთების სოფლების ასაკლებად იყვნენ მოსულნი.

მიდიოდნენ ისინი და წინ ხმალამოღებულნი მიუძღოდნენ რომანოვებისაგან ნაბოძებ ჯვარ-მედალებით მკერდდამშვენებული ჭავჭავაძეები, ხიმშიაშვილები, დადიანები, ჩოლოყაშვილები...

პირველად ბექობს უკან ჩამალულ ბატარეას დაეტაკნენ. თურქებმა ვერ მოასწრეს ზარბაზნების მომართვა, შეტევას ვეღარ გაუძლეს, ზარბაზნებს მისცვივდნენ და საკეტებს დაუწყეს მოხსნა, მაგრამ ქართველებმა ზარბაზნებთანვე აჰკაფეს ისინი.

ამ გამარჯვებით გათამამებულნი კიდევ წინ წაიწივნენ და პირისპირ შეეხეჩნენ ქურთების ურდოს.

მრისხანე შესახედავები იყვნენ ქურთები: მაღალი, ბრგე ვაჟკაცები ნაყვავილები სახეებით. გულ-მკერდი გადაჯვარადინებული სავაზნეებით ჰქონდათ დაფარული და შაშხანებზე ხელისგულის სიბრტყე თურქული ხიშტები ულაპლაპებდათ.

— ვარა, ვარა, ვარა, ვარა!... ჩახლეჩილი ხმით ღრიალებდნენ ისინი და მხარდამხარ, ურყევად, ცოცხალი კედელივით მიაბიჯებდნენ წინ.

ტანწვრილი, ჯერ კიდევ ულვაშებზე მეოცნებე ქართველი ბიჭები თავგამეტებით დაეტაკნენ მათ.

გაისმა რკინის ცივი ჩახუნი, გმინვა და კბილების ხრჭიალი...

ოთარმა მთელის ძალღონით გადაჰკრა ცხენს მათრახი და გააჭენა. მას გული აუმღვრია ამ მოგონებამ. ღრმაღელემდე ჭენებით მიიყვანა ცხენი და მხოლოდ წყალსადენის კოშკთან გადაიყვანა ნაბიჯზე.

იმ ღამით უთუოდ საქართველოს ცა-ფირუზზე ბავშვებმა ბევრი მოწყვეტილი ვარსკვლავი დაითვალეს, ჩვენი სოფლების ეკლესიების გალავნებში ჭოტები ჰკიოდნენ და მოხუცი დედები ჩუმად ლოცულობდნენ უცხო მხარეში საომ-

3. „ჩ ნი თაობა“.

რად წასულ ვაჟებისათვის. ნახევარზე მეტი გაწყდა ქართველი. თურასელის ესკადრონიდან მხოლოდ სამოცი დაბრუნდა უკან. იქნება სულაც გამწყდარიყვნენ, რომ ბრძანება არ მოსულიყო, უკან დაიხიეთო.

მაშინ თურასელი უთუოდ დამნაშავედ არ გრძნობდა თავს იმაში, რომ ქართველ ახალგაზრდებს ცხრა მთას იქით მიერეკებოდა რომანოვებისთვის ახალი მიწების დასაპყრობად, ახლა კი...

ოთარს გააცნენდა, რა ტონით უწოდა თურასელმა მას ამხანაგი პოლკოვნიკი.

ამ ბრძოლაში ოთარიც დასჭრეს. ჯარისკაცებმა გრძნობადაკარგული გამოიტანეს ბრძოლის ველიდან. ჭრილობა სერიოზული იყო და ოთარმა ორი თვე საველე ლაზარეთში გაატარა. იქ შემდეგ გაიგო, რომ მეანტაგთან უკანდახეულ ქართველებს ყაზახთა მეცხრე პოლკი მიეშველა და ქურთები დამარცხდნენ.

რევოლუციის შემდეგ ქართული ცხენოსანი პოლკი დაშალეს. ერმილე თურასელი ბაქოში დარჩა და მუსავატების ჯარში დაიწყო სამსახური. მას შემდეგ აღარ შეხვედრია ოთარს.. თურასელი ადრე მოტეხილა, მოხუცებულა, ალბათ ბევრი რამ გადახდა თავს.

ოთარი სამშობლოში დაბრუნდა. დაიწყო ქართულ ჯარში სამსახური, მალე გამომჟღავნდა, რას ნიშნავდა მენშევიკური „დამოუკიდებლობა". ოქტომბრის რევოლუციის მიერ შეშინებული მენშევიკი მინისტრები ევროპის სახელმწიფოებს რიგრიგობით ეპატიჟებოდნენ საქართველოში. ინგლისელები თავს უკვე საკუთარ კოლონიაში გრძნობდნენ (რუსთაველის გამზირზე ნიფხვებიც კი გამოჰფინეს). მენშევიკებს საკუთარი ჯარისაც კი ეშინოდათ და მისგან თავის დასაცავად ყაჩაღებისა და ყოველგვარი ნაძირალებისაგან გვარდია შეადგინეს. ჯარს ეჭვის თვალით უყურებდნენ, გვარდია კი ფუფუნებაში ჰყავდათ. ოთხი წლის განმავლობაში ოთარი ფრონტიდან ფრონტზე გადადიოდა. მენშევიკები ყველა მეზობელს რიგრიგობით წაეკიდნენ, შიგნითაც რიგრიგობით აწიოკებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. ქვეყანა გაღატაკდა და გადამწვარ სოფლების კვამლითა და ოხვრით აივსო. ერთი მუჭა სპეკულიანტები სჭამდნენ ხალხის დოვლათს და პატარა მიწა ვეღარ იტევდა სოკოსავით გამრავლებულ ლეგალიზებურ ავანტიურისტებს.

მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოს სიმდიდრით გემები დატვირთა და შავი ზღვით გაიპარა. მალე დამყარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება. ქართველი ოფიცრების საუკეთესო ნაწილი შევიდა წითელ ჯარში. მათ შორის ოთარიც ერია...

ამ მოგონებაში იყო წასული ოთარი, როცა მხედრებმა უკანასკნელი გორაკი გადალახეს და წინ სამხედრო ბანაკი გადაიშალა.

კარვების ოთხი მწკრივი ვეებერთელა ნახევარ რკალად ერტყმოდა ბანაკის შუაგულში აგებულ შენობებს და ფარდულებს. კარვების თეთრ რკალს ახალგაზრდა თუთის ხეების მწვანე ზოლი ჰქონდა შემოვლებული. დასავლეთით მოსჩანდა კარვებთან მდგარ ზარბაზნების რიგები.

ნაზე უკვე ჩასავალს იყო. გლდანის მხრიდან მსუბუქ ნიავს მოჰქონდა მოთიბულ ბალახის სუნი და ბანაკის ხმაურობა.

აქ იდგა წითელი ქართული ჯარის ერთი დივიზია. საქართველოს ყველა კუთხიდან მოსული ახალგაზრდები იწვრთებოდა აქ. მათ არავინ გაიტყუებდა ირანში ქურთების ასაწიოკებლად, მათ არ წაიყვანდნენ შულავრელ სომხების ამოსაჟლეტად, ან სამხრეთ ოსეთის ასაკლებად. ქურთებიც, სომხებიც და ოსებიც მათთან ერთად სწავლობდნენ აქ და ემზადებოდნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად.

ოთარი თავის ლეგიონისაკენ გაემართა. ფიქრებში გართული პირველ კარებთანვე ჩამოხტა ცხენიდან და სადავე მხლებელს გადასცა.

ესკადრონი ისვენებდა. თუთის ხის ქვეშ შეჯგუფულიყო რამდენიმე წითელარმიელი და უსმენდა მეჩონგურეს. კარვების მეორე ბოლოდან ისმოდა რადიოთი გადმოცემული „პარტიზანული სიმღერა“ მახლობელ კარავში ვიღაც ხმამაღლა კითხულობდა ახალი კონსტიტუციის მუხლებს და იქვე კარებში ჩამომჯდარი ორი ახალგაზრდა თავაუღებლად თამაშობდა ჭადრაკს.

ქერა, ტანმორჩილმა მეჩონგურემ პირველმა შენიშნა მომავალი ოთარი. დაკვრა შესწყვიტა, ფეხზე წამოხტა და კარვის უკან გასძახა:

— მორიგე! აი, დაგიდგეს თვალები, ამხანაგი პოლკოვნიკი მოდის!... და იმ წამსვე გაისმა ხმამაღალი ძახილი:

— ესკადრონო, სმენა!

ოთარს გაეღიმა... „დიაღ — გაიფიქრა მან, — ამხანაგი პოლკოვნიკი, ამხანაგი პოლკოვნიკი“...

ნ. ნეკრასოვი

ფიქრები საპარადო მისასვლელთან

ჰა საპარადო მისასვლელი. ყოველ უქმე დღეს,
ვით შეპყრობილი მონურ ქცევის ბოროტი სენით,
მთელი ქალაქი რაღაც შიშით უნდა მიადგეს
ამ აღთქმულ კარებს,—მიეახლოს დიდ მოწიწებით;
და იქ ჩასწერენ თავის სახელს, თავის წოდებას.
თავიანთ სახლში ბრუნდებიან შემდეგ სტუმარნი,
ღრმად კმაყოფილნი თავისთავით და მომღიმარნი,
ასე გგონია—ეს შეადგენს მათს მოწოდებას!
ჩვეულებრივ დღეს ამ ბრწყინვალე მისასვლელს მუდამ
ღარიბ-ღატაკნი აწყდებიან, წამების შვილნი:
ვინც ცუდად არის, სამსახურის ადგილი უნდა,
და ღრმა მოხუცნი და ქვრივები, ძაძით მოსილნი,
მისგან და მასთან დილაობით დაჰქრიან ჯერით,
ქაღალდით ხელში შიკრიკები შიგნით და გარეთ.
ზოგი მთხოვნელი შინ ბრუნდება ნელი სიმღერით,
მაგრამ ზოგ-ზოგი მთხოვნელები ტირიან მწარედ.
ერთხელ გლეხები აქ ოსულნი მე დავინახე,
ჩვენი სოფლების მცხოვრებლები. რუსი კაცები,
შეხედეს საყდარს და პირჯვარი გამოისახეს
და ძირს დახარეს მორიდებით ქერა თავები;
ნახეს მეკარე—„ძმავ, შეგვიშვი!“—უთხრეს ვედრებით
და მათ სახეზე ჩნდა იმედი და სევდა მწარე.
ახედ-დახედა: ულამაზო ჩანან სტუმრები.
მათ სახეები და ხელები აქვთ მზით დამწვარი,
აცვიათ ძველი დაკონკილი არმიაკები,
ხალთა-გუდები მათ ჰკიდიათ მოხრილ ზურგებზე,
ყელზე აქვთ ჯვრები, სისხლიანი უჩანთ ფეხები,

დაუცვეთიათ ქალამნები შორეულ გზებზე.
(ჩანს რომელიღაც შორეული გუბერნიიდან
წამოსულან და მონდომიათ გზაში დიდი დრო).
ბანით მეკარეს დაუყვირეს: „ჩქარა, მანდედან
გარეკე ყველა, ჩვენს არ უყვარს დაგლეჯილი ბრბო!“
გამოიხურა მათ წინ კარი. შეჩერდნენ წამს და
პილიგრიმებმა თავიანთი გახსნეს ქისები,
მაგრამ მეკარემ მცირე გროშებს აღარ მიხედა.
უკან გაბრუნდნენ საბრალონი, განაგრძეს გზები.
იმეორებდნენ: „შენ განსაჯე, ღმერთო მაღალო!“
კვლავ უიმედოდ ჩაიქნიეს იმათ ხელები
და სანამდისაც მე ვხედავდი მათ ჩემი თვალით,
გაბრუნებულნი მიდიოდნენ თავშიშველები...

იმ დროს ბატონი, ვისიც იყო ის უცხო ბინა,
განისვენებდა ნებიერად, ისევ ეძინა...
შენ, ვინაც ფიქრობ, რომ ნანატრი არის ცხოვრება,
მიეთ-მოეთთა და მლიქვნელთა უსირცხოება,
ხელწაყრილობა, ღორმუცლობა და თამაშობა,
გამოიღვიძე, არის კიდევ სიამე მეტი:
დაუძახე მათ, შენს ხელთაა იმათი ბედი!
მაგრამ ბედნიერთ სიკეთისთვის ყური ეხშობათ...

ჭექა-ქუხილი ზეციური ველარ გაშინებს,
ამქვეყნიური შენ თვითონვე გიჭირავს ხელით,
და დავიწყებულ დაჩაგრულ ხალხს სევდა აგმინებს,
ღრმა მწუხარებას გულში მარხავს ენაუთქმელი.

ეს მწუხარება მოღალადე შენთვის რა არის,
შენ რას დაეძებ უბედურთა ამ საბრალო ბრბოს?
დღესასწაულით მუდმივით რომ მარად იჩქარის,
შენი ცხოვრება გამოფხიზლდე აღარ გაძლევს დროს.
და რაში გინდა? უსაქმურთა ლაქლაქს ადარებ
ხალხის სიკეთეს ვინც ხელს უწყობს და ეხიდება;
უიმისოდაც ამ ცხოვრებას შენ გაატარებ
სახელოვანად და საფლავშიც ჩახვალ დიდებით!
და უშფოთველი არკადიის იდილიაზე
მიიწურვიან უკანასკნელ შენი დღეები:
მოძჯადოებელ სუფთა ცის ქვეშ სიცილისა,
საამო ჩრდილში დამატკბობელ სურნელ ხეების,
შენ დაინახავ ჩაიძირვის რა რიგ თამაშით
ბზე მეწამული ლაჟვარდისფერ კამკამა ზღვაში

და ოქროსფერად გააბრწყინებს, მოავარაყებს,—
ხმელთაშუა ზღვის შენ დაგარწევს ტალღების თქეში,
და როგორც ბავშვის, შენი ძილი იქნება ტკბილი
ძვირფას ცოლ-შვილის მზრუნველობით აღსავსე წრეში
(რომ იქნებიან მომლოდინე შენი სიკვდილის).
მოგასვენებენ მიცვალებულს შენ ისევ ჩვენში,
რომ პატივცემით გავაცილოთ შენი ცხედარი,
მიებარები სასაფლაოს... გმირი ქებული,
სამშობლოს მიერ ჩუმი წყევლით დანაწყევარი,
ხმამაღალ ქებით მლიქვნელთაგან განდიდებული.

მაგრამ ერთი ვთქვათ, პიროვნება წარჩინებული
წვრილმანი ხალხის გულისათვის რად შევაწყინოთ?
განა იმათზე არ ვიყაროთ ჩვენ ბრაზი გულის?—
აკლებ საშიში ის იქნება... აღმოვაჩინოთ
სადმე, როგორმე, სანუგეშო რაიმეგვარი...
რა ბედენაა მოითმინოს გლეხმა, აიტანს:
ეს თითქოს ჩვენთვის ნაკარნახი განგებით �...
გლეხი ხომ თმენას ჩვეულია დასაბამიდან!

გარეუბანში, მწირ, ღარიბულ დუქანში ღვინის,
უკანასკნელ გროშს საცოდავნი შესვამენ ხელად,
შემდეგ ბარბაცით განაგრძობენ თვის გზას ისინი
საბრალო კვნესით... ოი, ჩემო მიწავ მშობელო!
დამისახელე თუნდაც ერთი კუთხე ისეთი
(არ მეგულება, არ მინახავს მე არასოდეს),—
რომ მხვნელ-მთესველი დაჩაგრული არ იყოს ბედით,
შენი მფარველი რუსი გლეხი არა კვნესოდეს.
კვნესის გადაშლილ მინდორ-ველში და შარაგზაზე,
კვნესის ციხეში წამებული, გულსაკლავ ხმაზე,
მაღაროების ჯურღმულებში ხუნდებშეყრილი;
თივის ზვინის ქვეშ მოდრეკილი, წელში მოხრილი,
ტიალ ტრამალზე, როცა ურმის ქვეშ ათევს ღამეს;
კვნესის საკუთარ ღარიბ ქოხში როდესაც არის,
დღის გათენებას არ შეჰხარის, არ გრძნობს სიამეს;
ყოველ მივარდნილ ქალაქებში ის კვნესის მწარედ,
სასამართლოს და პალატების კარებთან მდგარი.
გადით ვოლგაზე: ნახეთ ვისი გაისმის კვნესა
ვრცელ და უდიდეს მდინარეზე რუსეთის დიდის?
ამ კვნესას ჩვენში ეძახიან სიმღერას დღესაც—
და ბურლაკები საბრალონი დარდს იკვლენ მითი!...

ო ვოლგავ, ვოლგავ! მრავალწყლიან გაზაფხულისას
ისე არ ავსებ ნიაღვარით შენ ველს და ყანას,
როგორც უდიდეს მწუხარებით ხალხის გულისა
ავსებულია წამებული ჩვენი ქვეყანა.
სადაც ხალხია, იქ კვნესაა... ეხ, ჩემო სულო,
რას ნიშნავს შენი მწარე კვნესა უდასასრულო?
შენ გაიღვიძებ, ავსებული ჯანით ძლიერით,
თუ კვლავ მორჩილმა ბედისწერის უკუღმართ წესის,
რაც კი შეგეძლო შეასრულე შენ ყველაფერი—
შეჰქმენ სიმღერა, რომელიც ჰგავს ხმას მწარე კვნესის,
და სამუდამოდ განისვენე შენ სულიერად...

თარგ. **გრიგოლ ცეცხლაძისა.**

ტარას შევჩენკოს ლექსები

* * *

ხრამის იქით ისევ ხრამი,
და საფლავი შემდეგ ბარად.
უცებ ადგა იქ კაზაკი,
ულიმღამო და ჭალარა.
ის წამოდგა ღამით ერთი,
ველზე მიდის, მიმავალი
მიიმღერის სევდით მკვეთრი:
„არ ვახსოვართ ჩვენ არავის,
წაგვაყარეს მიწა ფლიდად
და დაბრუნდნენ სახლში მშვიდად.
ჩვენ სამასი, როგორც მინა,
ძმები დაგვცეს ველსა შინა.
მაგრამ მიწა განგვერიდა.
რაც გერმანმა ჩვენ გაგვყიდა,
ქრისტიანულ ულელ-ქვეშე,
და მურტალებს გადაგვკიდა,
ამ მიწაზე ჩვენა ვხვნეშით.
დავაქციეთ სისხლი ჩვენი,
გამოვლადრეთ ძმებიც წინეთ,
შემდეგ სისხლით ღავითვერით,
ჩვენ სიკვდილით დავიძირეთ,
და საფლავშიც ვერ ვიძინებთ“.
ის დადუმდა სულ დაღლილი,
ქვეშ დაუშვა მან მახვილი,



ტარას შევჩენკო

და საფლავზე დადგა ტვირთად,
დააცქერდა დნეპრის ფერსაც.
აქვითინდა და ატირდა,
და ტალღებმაც იწყეს კვნესა.
დნეპრის იქით სოფელს მაღალს
ხმა ეცა და გადმოსძახა.
დაიყიჟლეს წამს მამლებმა
და კაზაკი საფლავს შინა
კვლავ შთაინთქა. ბნელ ხრამებმა
და საფლავმა დაიგმინა.

მაისის საღამო

ქოხის გვერდშია ალუბლის ბაღი,
მაჟაურები ბზუიან შტოზე,
კავებიანი წასულა ხალხი,
იქ გოგოებიც მიიმღერიან,
და მათ დედები სოფლად ელიან.
აწ ქოხთან ვახშმობს ოჯახი სუფთა,
ცაზე კამკამებს ღრუბლის ბუმბული.
მომსახურეობს გოგონა სუფრას,
დედა არიგებს, მაგრამ ბულბული
ჩაუკლავს დედის მოსმენის უნარს.
დედამ უფროსი და პაწაწინა
ოხის მახლობლად რა დააწვინა,
თვით დაიძინა ბავშვების გვერდით;
სიჩუმე ირგვლივ, მხოლოდ გოგოებს
არ სძინავთ, აკრავთ ლაჟვარდის ფერი,
რადგან ბულბული ჯერ კიდევ მღერის.

---

* * *

ვცხოვრობ უნებლივ სიმარტოვეში,
აზრებს ვერავის ვანდობ მზარავი.
მე ჩემს ფიქრებში სულ მთლად ჩავეშვი
და მობაასეც არ მყავს არავინ.
მე ღმერთს დავეძებ და ვერ ვპოულობ,
რაც არისა და რაც უნდა იყვეს.
რა მიყვეს წლებმა შეუპოვრებმა? —
მე უბედობის ბედი გამიყვეს.
ჩემ გაზაფხულის დღეები სუფთა
გაყვნენ ლრუბლების პირქუშ ყიამეთს.
და აღარ მრჩება შემთხვევაც, თუნდა
რომ მომაგონოს ქვეყნის სიამე.
სულსა სწყურია ცხოვრება ბრძნულად,
მაგრამ არ ისმის არსაით ჩქამი,
და თითქო მინდვრად თოვლში ჩაფლულა
ჯერ კიდევ თბილი პოეტის გვამი.

სთარგმნა სიმონ ჩიქოვანმა.

შ ე ვ ლ ი ლ ი

ვეება დნეპრი ღმუის და გმინავს,
მრისხანე ქარი კივის, გრიალებს,
მაღალ ბზის რტოებს მიწამდე ღუნავს,
მღვრიე ზვირთების მთებს ატრიალებს.

მთვარე ოდნავად ანათებს ცაზე,
ღრუბელი აკრავს შავბნელ რკალებად,
და როგორც ნავი, მცურავი ზღვაზე,
ხან გამოჩნდება, ხან იმალება!

არ უყივლია მამალს მესამედ,
ადამიანის სმაც არსით ისმის,
ეხმაურება ჩიტი ჩიტს ტყეში
და მას ბანს აძლევს შრიალი იფნის.

ამ დროს იქვე, მთის მახლობლად,
მწვანე ტყეში, დაბლა—
ვიღაც ლანდი დადის ობლად,
მოსავს თეთრი კაბა.

გამოვიდა იქნებ ალი
საძებნელად დედის?
იქნებ უცდის, გრძნობით მთვრალი—
ყაზახს—ვარსკვლავს ბედის!

ეს მოხეტე ალს არა ჰგავს,
სხვა ასული დადის,
მას გონება დაუკარგავს,
აღარ გრძნობს, რას სჩადის.

მარჩიელმა მას გაანდო—
ნაკლებ ივალალოს,
რომ იაროს ღამით მარტო
და თან უთვალთვალოს—

ახალგაზრდა სატრფოს—ყაზახს,
შარშან რომ დატოვა,
რომ დაჰპირდა მალე ნახვას,
და სამარე ჰპოვა.

ჩინურ ფლასს არ დაუფარავს
უბედურის თვალი,
არ დაჰლვრია განსაბანად
სახეს ცრემლი ქალის.

და არწივმა ამოკორტნა
თვალნი—სხვა მიწაზე,
თეთრი ტანი მგელმა დახრა,
ცა გაუწყრა ასე.

უთვალთვალებს მას ამაოდ
სატრფო ყოველ ღამით,
ის—შავწარბა—აღარ მოვა
ჩვეული სალამით.

არ გაუშლის ნაწნავს ნაზად
და ხელმანდილს ეშხით,
და დაწვება—ტახტის ნაცვლად—
მარტო სამარეში!

ასეთი არის მისი ბედი, ო, დიდო ღმერთო!
რისთვის სჯი ასულს ახალგაზრდას, აჭკნობ ვით ფოთოლს?
ნუთუ მისთვის, რომ მის გულს ტრფობის ცეცხლი აენთო
და რომ ყაზახი შეიყვარა?.. შეუნდე ობოლს!

სხვა ვინ უყვარდეს, მას არა ჰყავს მამა, არც დედა,
იგი მარტოა, ვით ფრინველი შორეულ მხარეს,
გთხოვ შეიბრალო საცოდავი, გაუქრო სევდა,
და ააშორო უხეშ ხალხის დაცინვა მწარე.

მტრედს მტრედი უყვარს და ეს არის დანაშაული?
დამნაშავეა შევარდნისგან მოკლული მტრედი?
წყენით ღუღუნებს, ბედი სტანჯავს, უკვნესის გული,
დაფრინავს, ეძებს, ფიქრებისგან დასხმია რეტი.

ბედნიერია ნაზი მტრედი, ლაღად ნავარდობს,
ღმერთთან აიფრენს, საყვარელის ამბავს იკითხავს,
ობოლმა რა ჰქნას, რა იღონოს, ვისღა მიმართოს,
სატრფო სად არის რომ აცნობოს, ისეთი ვინ ჰყავს!

იქნებ ღამეებს იგი ათევს უდაბურ ტყეში,
ან დუნაიში აბანავებს თავის ცხენს ხარბად,
იქნებ სხვა უყვარს, მასთან არის, უცქერის ეშხით,
დიდიხანია დაივიწყა თავის შაყწარბა.

რომ გამოსხმოდა ტანზე ლაღი არწივის ფრთები,
ზღვის იქით სატრფოს იპოვიდა—უცხო მხარეში,
მის შეყვარებულს დააბრჩობდა ის გატაცებით,
და თუ მკვდარია, ჩაწვებოდა მის სამარეში.

გულს ისე უყვარს, რომ არ ძალუძს გამოთქმა ენას,
აწამებს ბედი, დიდმა ღმერთმა მას რომ არგუნა,
ალარ სურს ყოფნა და ვაების მეტი მოთმენა,
მაგრამ გონება იმეორებს: „იტანჯო უნდა!“

ო, ღმერთო ჩემო, ასეთია ხომ შენი ნება,
შენგან მოძღვნილი მისი ხვედრი—ბედნიერება!

ის დადის კვალად მარტო, მდუმარი,
მღელვარე დნეპრი დადუმდა, დაცხრა,
ქარმა დაცხრილა ღრუბლების ჯარი,
დასაძინებლად ზღვის ახლოს დაწვა.

ზეციდან ისევ ანათებს მთვარე
და სხივით მოსავს ტყეს და მდინარეს.

მეფობს სიჩუმე საზარი, მკვდრული,
უცებ დნეპრიდან გოგონათ გროვა
წამოიშალა ცელქ ჟრიამულით,
იწყო ძახილი: „აწ გავთბეთ, დროა—

—მზე ამოსულა!“ (იყვნენ ტიტველნი,
ჰქონდათ ნაწნავი მდინარის ლელის!)

—აქ ხართ ყველანი?—მიმართავს დედა,
წავიდეთ, სადმე ვახშამი ვჭამოთ,
ვითამაშოთ და ვიმხიარულოთ,
ტკბილი სიმღერით გული ვაამოთ“!

„უჰ, უჰ, ალი,
ანაორთქლი ჩალის!
დედამ მშობა, რძე მაწოვა,
უნათლავი მიმატოვა.

ბადრო მთვარევ!
მონარნარევ!

მოდი ჩვენთან, ჭამე პური,
აქ კაცი გვყავს დამალული—
ლელიანში, ქვემოთ ქედის,
ხელზე ვერცხლის აქვს ბეჭედი.
შავი წარბი უმკობს სახეს,
ის მუხრანში გუშინ ვნახეთ.
მთვარევ, სხივებს ველებს ღვრიდე,
ვისეირნებთ დიდხანს კიდევ.

ვიდრე დაჰფრენს ქაჯი, ალი,
და არ ყივის ჯერ მამალი.
გაგვინათე. . . ეს რა ლანდი,
მუხის ქვემოთ, მარტო დადის?

უჰ, უჰ, ალი,
ანაორთქლი ჩალის!
დედამ გვმობა, რძე გვაწოვა,
უნათლავი მიგვატოვა!"

ურჯულოებმა მორთეს ხარხარი,
ტყემც მისცა ბანი მათ ხმაურს, სტვენას,
თითქოს აქვთ მტერთან ომი საზარი,
შემდეგ მუხისკენ გაიქცა ყველა.

გამოერკვენ. . . და ლანდს ქალის
შეხვდა ცქერა მათი,
რტოდან რტოზე ბობღავს მალვით,
კენწეროამდის ადის.

ეს ხომ ღამის ასულია,
მოარული მარტო,
შეუშლია ის სრულიად
მარჩიელის ჯადოს.

ჰა, ავიდა უფრო მაღლა,
ეს აშინებს ყველას,
მიმოავლო ირგვლივ თვალი
და დაეშვა ნელა.

აიშალნენ ცელქი ალნი,
შეგროვილნი ერთად,
წაიყვანეს—შესაბრალი—
და დაუწყეს ჩქმეტა.

დიდხანს იყვნენ მოხიბლული
მისი სახის ეშხით,
და მამალმა როს იყივლა,
ჩახტნენ მდინარეში.

შორს ტოროლამ იგალობა,
აფრენილმა მაღლა,
და გუგულმა მუხის წვერზე
„გუგუ“—შემოსძახა.

ბულბულთ სტვენა სივრცეს სერავს,
გაელვიძა ტყესაც,
მიწის მუშამ იწყო მღერა,
აელვარდა ზეცა.

დნეპრის პირად ტყე სჩანს შავად,
განათელი მტრების,
და დგებიან ლურჯი ჩრდილნი
აღალ საფლავების.

ისმის მდინარის შრიალი
და ჩურჩული ვაზთა,
და ასულს კი მუხის ჩრდილში
სძინავს იქვე, გზასთან.

სჩანს, ღრმად სძინავს, რომ არ აკრთობს
გუგულის ძახილი,
რომ აღარ გრძნობს აღარაფერს,
ვით უძრაჟი ჩრდილი!

ამ დროს უცებ—მაღნარიდან—
მხნე ყაზახი ჩნდება,
მისი ცხენი, დაღლის გამო,
ფეხზე ძლივს-ღა დგება.

—„დაიღალე—მეგობარო?
დავისვენებთ მალე,
აგერ ქოხი და მის კარებს
ჩვენ გაგვიღებს ქალი.

მაგრამ ვაჰ, თუ სხვას გაუღო,
იგი შეიყვარა,
მაშ ისწრაფე, ჩემო კარგო,
გაეშურე ჩქარა.“

მაგრამ ცხენი დაღლილია,
ბარბაცით ძლივს მსვლელი,
ყაზახს თითქოს მკერდს ეხვევა
შხამიანი გველი.

—„აი, მუხაც, თავხუჭუჭა,
აგერ საყვარელიც,
ლოდინში ძილს მისცემია
ჩემი მტრედი, მწველი!

ღმერთო ჩემო!“ სთქვა და მასთან
გაჩნდა განახელი,
მოეხვია, გადაკოცნა,
მაგრამ... რას უშველის.

—„ახ, მე და შენ რად გაგვთიშეს!“
თითქოს დაიქუხა,
და ხარხარით თავი მყისვე
შეახეთქა მუხას.

ქალნი სამკალად მიდიან ველად
და იმღერიან შვებით, სიამით,
ვით აცილებდა დედა შვილს ბრძოლად,
როგორ იბრძოდა თათარი ღამით.

მიიჩქარიან... და უცაბედად
მწვანე მუხის ქვეშ მათ მოჰკრეს თვალი—
დგას შავი ცხენი, დაღლილი მეტად,
და იქვე წვანან კაცი და ქალი.

წამოეპარნენ ნელი ნაბიჯით,
უნდოდათ შიშის დაეცათ ზარი,
მაგრამ გაიქცნენ უკანვე მყისვე,
როცა დარწმუნდნენ, არიან მკვდარნი.

და შეგროვდა ქალთა ჯარი
ცრემლების საღვრელად,
მეგობრებიც იქვე გაჩნდნენ
სამარის სათხრელად.

და ხუცები როს გამოჩნდენ,
ატყდა რეკა ზარის,
და დამარხეს თემის ხლებით,
როგორც წესი არის.

და გზის პირას გაუთხარეს
მათ სამარე—ბარით,
არვინ იცის, რისთვის მოკვლნენ,
არის ვისი ბრალი.

ყაზახს საფლავზე დაურგეს
ნაძვს ხე, ჭანდარი
და ასულის საფლივზე-კი—
ძახველა მაღალი.

მოფრინდება და იმღერის
იქ გუგული ფრთხილი,
და ბულბულის—ყლველ ღამით—
ისმის სტვენა ტკბილი.

იმღერიან—ვიდრე მთვირე
ინათებდეს ციდან,
ვიდრე ალნი არ ამოვლენ
ცურვით მდინარიდან.

1839 წ.
პეტერბურგი.

სთარგმნა **ხარიტონ ვარდოშვილმა.**

ალი არსენიშვილი

ტარას შევჩენკო

მთელი საბჭოთა ქვეყანა აღნიშნავს უკრაინის უდიდესი სახალხო პოეტის, დაუდგრომელი მეამბოხის, რევოლუციური დემოკრატის ტარას შევჩენკოს გარდაცვალების 75 წლის თარიღს. მისი პოეზიის უდიდესი გავლენა უკრაინის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე მწერლობასა და საბჭოთა უკრაინის პოეზიაზე უდავოა. შევჩენკოს გავლენა ემჩნევა აგრეთვე რუსულ, ბელორუსულ, ებრაულ, პოლონურ, ქართულ, ჩეხურ, ბოლგარულ და სხვა ხალხების მწერლობას. მაგრამ უკრაინული კლასიკური პოეზიის დაყვანა მხოლოდ შევჩენკომდე, თუმცა იგი მე-19 საუკუნის უდიდესი პოეტია, შემცდარი იქნებოდაო — ამბობს უკრაინელი საბჭოთა კრიტიკოსი ა. გ. სენჩენკო. შევჩენკომდე უკრაინის მწერლობას ჰყავდა ისეთი დიდი მწერლები, როგორიც არიან მი-16—17 საუკუნის სახელგანთქმული პოლემისტი ივანე ვიშნევსკი, მე-18 საუკ. მეტად საინტერესო პოეტი-ფილოსოფოსი გრიგორი სკოვოროდა, მე-18 საუკ. დასასრულისა და მე-19 საუკ. დასაწყისის ნიჭიერი პოეტი და დრამატურგი ივანე კოტლიარევსკი. მაგრამ შევჩენკოს გამოჩენამ ერთბაშად ასწია უკრაინული პოეზია უდიდეს სიმაღლეზე, რადგან შევჩენკო გამოვიდა, როგორც მძლავრი ტემპერამენტის ლირიკოსი და რევოლუციური დემოკრატიის დიდი პოეტიო (ა. გ. სენჩენკო).

შევჩენკოს მოღვაწეობის თუნდაც დაახლოებით გაცნობისათვისაც კი აუცილებელია ტანჯვით და ბრძოლით აღსავსე მისი ცხოვრების მთავარი მომენტების აღნიშვნა. იგი დაიბადა 1814 წ. ქ. ზვენიგოროდის ახლო, სოფ. მორინცაში, მებატონის ყმის ოჯახში. ბავშობიდან მწყემსობს და მოჯამაგირეობს სხვის კარზე. შემდეგ ბატონს მიჰყავს შინამოსამსახურედ. აქ შევჩენკო მხატვრის ნიჭს იჩენს, ამისთვის ბატონი სცემს, მაგრამ ბოლოს ოთხი წლით აგზავნის პეტერბურგში აბრების ერთ მღებავთან, რომელსაც იგი ემსახურება. შევჩენკო — მხატვრის ნიჭის შესახებ იგებენ პოეტი ჟუკოვსკი და მხატვარი ბრუილოვი, შეაგროვებენ 2.500 მან. და ამგვარად დაიხსნიან მას ბატონყმობის უღლიდან. ეს დღე—1838 წ. 22 აპრილი—დაუვიწყარი დღეა პოეტისათვის. მის სახსოვრად იგი ჟუკოვსკის და სამხატვრო აკადემიის მდივან გრიგოროვიჩს უძღვნის თავის საუკეთესო ნაწარმოებთ—პირველს „კატარინას“ და მეორეს „გაიდამაკებს“. ამის შემდეგ უახლოესი 7-8 წელი უბედნიერესი ხანაა შევჩენკოს განაწამები სი-

ცოცხლისა. იგი ჰქმნის თავისი „კობზარის“ („კობზა“ — უკრაინული ფანდურის მსგავსი საკრავია, აქედან „კობზარი“—მეფანდურე, სახალხო პოეტი) უკვდავ ლირიკას და პოემებს. და ფერწერაშიაც აღწევს ისეთ დიდ წარმატებას, რომელიც აკადემიკოსის ხარისხამდე მიიყვანს მას. 1840 წ. პირველად იბეჭდება „კობზარი“, რომელსაც მთელი უკრაინა და ნაწილობრივ რუსეთის ინტელიგენციაც გაიცნობს. 1842 წ. იბეჭდება დიდი ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს წერილი „გაიდამაკებზე“.

მალე შევჩენკო ეცნობა უკრაინული ფარული საზოგადოების „კირილე და მეთოდეს ძმობის“ წევრებს, რომელთა დაპატიმრების შემდეგ აპატიმრებენ მასაც და ასახლებენ კასპიის იქითა მხარის უდაბნოში უბრალო ჯარისკაცად. „მეტისმეტ უკმაყოფილებისა და ჯანყის გამომწვევ და საზღვარგადასულ კადნიერებით აღსავსე ლექსების დაწერისთვისო“ — ამბობს ნიკოლოზ 1-ის ჟანდარმთა განაჩენი. პოეტს რომ გადასახლებაში „ამამბოხებელი და პასკვილური თხზულებების“ წერის საშუალება არ ჰქონოდა, ჯალათ მეფეს პირადად კიდევ დაუმატებია: „უსასტიკეს მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნით, წერისა და ხატვის აკრძალვით“. გენიოსი პოეტის კალამს და დიდი მხატვრის ფუნჯს აკრძალვა დაადეს და პოეტიც აზიის ცხელ უდაბნოში გაგზავნეს. თავისი 10 წლის „ცოცხალ სამარისაკენ“ გამგზავრებულმა პოეტმა ერთი 702 კილომეტრიანი გადასვლა ყირგიზეთის უწყლო ტრამალებზე ფეხით მოახდინა. გადასახლებაში, საშინელი სამხედრო-საკონცენტრაციო რეჟიმის პირობებში შევჩენკოს გენიას არ სძინავს. იგი ჩექმის ყელში მალავს თავისი სანუკვარი ლექსების რვეულს და განუწყვეტლივ ეძლევა შემოქმედებას. მას გააყოლებენ არალის ზღვაზე გაგზავნილ სამხედრო ექსპედიციას, რომლის დროს პოეტი ხატავს მთელ რიგ საზღვაო პეიზაჟებს, მაგრამ შემდეგ ამისთვის სასტიკად დასჯიან და კიდევ უფრო გაუუარესებენ რეჟიმს. აი ნაწყვეტი გადასახლებიდან ერთი მეგობრისადმი მიწერილ წერილიდან: „უნდა ვთქვა, რომ სულიერ ტანჯვასთან ერთად, გარდა სალდათის ულუფისა, არაფერი ზედმეტი არ გამაჩნია, ერთი საწყალი მანეთიც კი არა მაქვს, რომ ტიბიკონი (საეკლესიო კულტის წიგნია — ა.ა.) მაინც გამოვიწერო, ჟურნალზე რომ არაფერი ვთქვათ. დაიხარჯე ცოტა პატიმრის გულისათვის და გამომიგზავნე კონისკის ან ველიჩკოს მატიანე, რისთვისაც უდიდეს მადლობას გეტყვიო“. მეორე წერილში რუს-პოეტ პლეშჩეევისადმი პოეტი ჩივის სამხედრო წვრთნის საშინელების შესახებ: „ვიღაც უფროსის ჩამოსვლის გამო აზრად მოუვიდათ ჩემი სანიმუშო ფრონტოვიკად გახდომა და მე, 50 წლის მოხუცს, სულს მართმევენ და დღეში რვა საათს მარბენინებენ“-ო.

ათი წლის ასეთი წამების შემდეგ, ჯანით გატეხილ და სულიერად მოღლილ პოეტს ათავისუფლებენ. მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრების აკრძალვით. ამის შესახებ იგი სწერს დღიურში: „რაღა თავისუფლებაა? დაბმული ძაღლისა, ეს ნიშნავს: მადლობადაც არა ღირს, თქვენო უდიდებულესობავ“. არის დღიურში ასეთი ჩანაწერი ჰერცენის არალეგალური „კოლოკოლის“ შესახებ: „პირველად ვნახე დღეს გაზეთი და მოწიწებით ამბორი უძღვენო“. სიცოცხლის უკანასკნელი წლები პოეტმა გაატარა უკრაინასა და პეტერბურგში და გარდაიცვალა 1861 წლის 25 თებერვალს პეტერბურგში. თანახმად ანდერძისა, ცხედარი გადმოასვენეს უკრაინაში და დამარხეს სოფ. კანევში.

როცა მოვკვდე მე დამმარხეთ,
სად ყორღანი ატანილა,
საყვარელი უკრაინა
ტრამალებით გადაშლილა.

რომ ველებსაც მინდროვანსა,
დნეპრს და ირგვლივ კლდის იარებს,
შევყურებდე და მესმოდეს
ღმუილა რომ მოღრიალებს.

. . . . . .

მაშ დამმარხეთ, წამოდექით,
ბორკილები დაამსხვრიეთ.
მტარვალების სისხლის ჩქეფი
თავისუფლად მოაფრქვიეთ.

და როს მხარე გაგეშლებათ
შვებით, ლაღად მოკვეთილი,
მომიგონეთ, ჩემზედაც სთქვით
სიტყვა წყნარი და კეთილი.

75 წლის წინათ უკრაინის ხალხმა თავისი დიდი პოეტის ანდერძის მხოლო ნაწილობრივი შესრულება შესძლო: მიაბარა იგი სამშობლო მიწას და უკვდავჰყო თავისი სიყვარულით. მხოლოდ ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ შეასრულა მისი ანდერძი სავსებით და მთლიანად: სამუდამოდ გაანთავისუფლა უკრაინა ყოველგვარ მტარვალებისაგან, მადლიერი „წყნარი და კეთილი სიტყვით“ მოიგონა დიდი პოეტი და მეამბოხე და დაუდგა მას უდიდესი ძეგლი, როგორც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ისე უკრაინის სოციალისტური ნაციონალური კულტურის უმაგალითო გაფურჩქვნითა და აყვავებით.

* *
*

ტარას შევჩენკოს სახით უკრაინულ მწერლობაში პირველად შეიჭრა გლეხური იდეოლოგიის წარმომადგენელი. მაგრამ ამასთან იგი არ წარმოადგენდა რაღაც „საერთო“, განყენებულად აღებულ გლეხს, არამედ გლეხობის გარკვეულ და კონკრეტულ სოციალურ ფენას, რომელიც გმინავდა თავის ბატონთა და რუსეთის ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიალურ ორმაგი ჩაგვრის ქვეშ. ერთი მწერლის თქმით, შევჩენკოს პოეზია არის პოეზია გლეხისა, რომელსაც პანისათვის არც ერთი ტკბილი სიტყვა არ მოეპოება.

მწერლობაში საერთოდ და უკრაინულში კერძოდ, იყო პერიოდი, უმთავრესად მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც თავადაზნაურულმა მწერლებმა „აღმოაჩინეს“ გლეხი და დაიწყეს სანტიმენტალური ლოცვა მის სიწმინდეზე, მის მიუწვდომელ წმინდა ჩვეულებებზე, კაცთმოყვარე, ბუნებით მართალ

ხასიათზე და სხვა. მაგრამ ამ მწერლებისათვის ეს იყო მხოლოდ ეტნოგრაფიულ მასალაზე ვარჯიშობა მოახლოებული კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული გადატრიალებისა და გლეხთა „ზევიდან განთავისუფლების“ წინ. აი, როგორ დასცინის შევჩენკო გლეხის „აღმომჩენ“ მაღალი წოდების მწერლებს:

„ძლივს წაიკითხეს „ენეიდა“ (კოტლიარევსკის მიერ უკრაინულად გადმოკეთებული.—ა.ა.), რამდერჯერმე გვერდი ჩაუარეს სამიკიტნოს და უკვე ჰგონიათ, რომ გლეხი აღმოაჩინეს. არა, ბმებო! ისა სჯობს, გაიცანით ხალხური თქმულება და სიმღერები, მოუსმინეთ ხალხს მაშინ, როცა იგი ბატონის წინაშე ქუდმოხდილი არ დგას. ან და როცა მეგობრულ სუფრაზე იგონებს ძველ დროს და სტირის, თითქო ეხლაც თურქის ტყვეობაში იყოს ან პოლონელი მაგნატის მიერ ჯაჭვებგაყრილი, და მაშინ მიხვდებით, რომ „ენეიდა“ კარგია, მაგრამ მაინც მოსკოვურ ყაიდაზე შეთხზული იუმორისტიკაა“.

შევჩენკოს წინადროინდელ უკრაინულ მწერლობასა და მოწინავე თავადაზნაურულ წრეებში ლიბერალურ ჰუმანურმა მისწრაფებამ მხოლოდ მაშინ იჩინა თავი, როდესაც ბატონყმობის გაუქმების საკითხი ისტორიულ დღის წესრიგში დადგა და ბატონყმურ წესებზე დამყარებული მეურნეობა ეკონომიურად არახელსაყრელი გახდა თვით გაბატონებულ კლასისათვის.

და სწორედ ამიტომ იყო, რომ შევჩენკოს „კობზარ“-ის ის ნაწილი, რომელიც გამსჭვალულია სანტიმენტალიზმით, ნაციონალური რომანტიკით, ეტნოგრაფიზმით და პატრიოტიზმით, დიდად მიღებული იყო მოლიბერალო მემამულეთა წრეებში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ „კნიაზ-ლიბერალები“, რომელთაც აგრეთვე ძალიან უყვარდათ ბატონყმობის გაყრაზე „ლაპარაკი“—და მხოლოდ ლაპარაკი!

შემოქმედების პირველ პერიოდში შევჩენკო გატაცებულია კაზაკურ-გეტმანური უკრაინის წარსულის იდეალიზაციით, ნაციონალური რომანტიკით. მთელი უკრაინა განუყოფელად, ყველა მისი კლასები—მჩაგვრელი და დაჩაგრული—ბატონი და ყმა, მას ერთნაირად დიდმპყრობელ რუსეთის მიერ დამონებულად ეხატება. მთელ უკრაინას იგი წარმოიდგენს რუსი ოფიცრის მიერ ნამუსახდილ და გაუბედურებულ კატარინად თავისი პოემიდან „კატარინა“, რომლის გმირი-ქალის სახე გადაეზრდება მოტყუებული ახალგაზრდა ქალის პორტრეტს და იქცევა შეგინებული და გატიალებული უკრაინის სიმბოლოდ.

მეორე პოემაში „გაიდამაკები“ პოეტი იძლევა 1768 წ. უკრაინაში მომხდარი დიდი საერთო ხალხური აჯანყების სურათს, რომელიც მიმართული იყო განსაკუთრებით პოლონური შლიახტის (მემამულე თავადაზნაურობის) წინააღმდეგ—ლეგენდარული მეთაურების ზალიზნიაკის და გონტას სარდლობით.

პოემაში მოცემულია პოლონელების, ებრაელების, ყველა კათოლიკეთა ფიზიკური განადგურების სასტიკი სურათი. ლისიანკას თავზე ცა განათდა: ეს ზალიზნიაკმა და გონტამ ჩიბუხი გაიწყვეს. საშინელი, საშინელი ჩიბუხი. თვით ეშმაკიც ვერ მოსწევს ასეთ ჩიბუხსო, ამბობს პოეტი. გული მტკივა, მაგრამ მაინც საჭიროა ამისი გადმოცემა, დაე შვილებმა და შვილისშვილებმა იცოდნენ, როგორ ცდებოდნენ მამები, როცა დაუძმობილდნენ თავიანთ მტრებსაო—დასძენს პოეტი პოემის განმარტებაში.

ამ ნაწარმოებებით და სხვა ლირიკული ლექსებით შევჩენკო ობიექტურად უკავშირდებოდა უკრაინის ლიბერალური თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგიას. სადაა ქვეყნად მეორე უკრაინა, სადაა ქვეყნად სხვა დნეპრიო— ჰკითხულობს პოეტი იმ დროის ერთერთ ნაწარმოებში. ეს, სხვათა შორის, სამ ვსებით ისე ისმის, როგორც რაფიელ ერისთავის:

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“ო.

შევჩენკო დასტირის იმ დროს, როცა უკრაინაში „ზაზარებდა ზარბაზნები და ზაპოროჟელებს ხელთ ეპყრათ ქვეყნის ბედი და საკუთარი თავის ბატონები იყვნენ, როცა მათ ხელთ ჰქონდათ თავისუფლება და დიდება, მაგრა-ყოველივე წახდა, წავიდა და ტიალ მინდორზე მხოლოდ საფლავები-ღა სჩანან. იქ, სადაც სეჩი იყო, გერმანელი კართოფილს ხარშავსო. გაიხსენეთ, როგორ აიდეალებს ილია ჭავჭავაძე ძველ მცხეთას „აჩრდილში“:

აგერა მცხეთაც—სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდი ცხოვრების

. . . . . .

აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა-ო.

ამ ნაციონალისტურ-კაზაკურ რომანტიკას შევჩენკოს პოეზიაში ორი წყარო და ორმაგი ხასიათი ჰქონდა. ერთის მხრივ, გეტმანშჩინის და კაზატჩინის დაკარგულ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე იდეალიზებული წარმოდგენის სახით მასში იხატებოდა შევჩენკოზე კლასობრივად უცხო, თავადაზნაურული იდეოლოგიის გავლენა. მეორეს მხრივ, ამ რომანტიკას ასაზრდოებდა დაჩაგრული გლეხობის მიერ სოციალური იდეალის ძიება „თავისუფალი“ კაზატჩინის ვადასულ ეპოქაში, რადგან ახლა (მე-19 საუკუნისპ ირველ ნახევარში) ოდესღაც თავისუფალი კაზაკების მასაც ბატონმყობის უღელქვეშ იყო და საკუთარ წარსულზე ოცნებას უზიარებდა მთელს ბატონყმურ გლეხობას.

ახალგაზრდობაში შევჩენკომ განიცადა სლავიანოფილური იდეების ძლიერი. გავლენა ეგრედწოდებულ „კირილე და მეთოდეს ძმობასთან“ დაახლოების დროს მარქსისა და ენგელსის განმარტებით სლავიანოფილობა წარმოადგენდა „უაზრო ანტიისტორიულ მოძრაობას“, რომელიც ცდილობდა გადაეჩინა სლავურ ქვეყანათა ნაციონალური სახელმწიფოების ფეოდალიზმი გერმანელი კიპიტალიზმის შემოტევისაგან. ძმობის მონაწილე, უკრაინის ნაციონალისტური მწერლობის მამათმთავარი პანტელეიმონ კულიში მოუწოდებდა: „თავი დაანებეთ პოლიტიკას, თავისთავად დადგება დრო, როდესაც თქვენი სიტყვის ძალით დაიქცევა იერიქონის კედლები“. ნიკოლოზ 1-ლის ჟანდარმთა უფროსმა ორლოვმა ასეთი შეფასება მისცა „ძმობას“: „კირილე და მეთოდეს უკრაინულ-სლავური ძმობის საზოგადოება სხვა არაფერია, თუ არა სამი ახალგაზრდა კაცის სწავლული ბოდვაო“.

სლავურ ხალხთა გაერთიანების იდეით გატაცებული შევჩენკო სწერს პოემას „იან გუსი ანუ ერეტიკოსი“, რომელშიაც ამბობს: გერმანელებმა გათიშეს სლავები, გუსმა კი კვლავ დაანთო მათში შეერთების სურვილიო.

ამ განწყობილების გავლენის ქვეშ იყო ერთ დროს შევჩენკო, სანამ არ გაერკვა წარსული ისტორიული ბრძოლის მონაწილე სოციალურ ძალთა ჭეშმარიტ ბუნებაში. როდესაც ნაციონალური რომანტიკის ბურუსი ჩამოსცილდა შევჩენკოს მსოფლმხედველობას, მან ხელი მიჰყო გეტმანშჩინისა და ძველი კაზატჩინის ნიღაბის ჩამოგლეჯას და კრიტიკული თვალით შეხედა ლიბერალ მემამულეებს „კირილე და მეთოდეს ძმობიდან". პირველად ესენი უწონებდნენ „კობზარის" ავტორს ჰარმონიული მთლიანი უკრაინის იდეალიზაციას, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ შევჩენკომ უარჰყო თავისი ადრინდელი ჰუმანიზმი („მოიცილეთ ჯაჭვები, დაძმობილდით... გადაეხვიეთ, ძმებო, თქვენს უმცროს ძმას... და აკოცეთ ღია გულით და სახით") და სასტიკ, დაჟინებულ შურისძიებას მიმართა („ნუ ელი სიკეთეს, ნუ ელი სანატრელ თავისუფლებას, მას სძინავს: იგი ჩაჰკლა მეფე ნიკოლოზმა და სანამ მას გააღვიძებდე, კარგი ნაჯახი უნდა გაჰპიროო"), ისინი უყოყმანოდ ჩამოსცილდნენ პოეტს და მათ შორის აღიმართა ბასრი მახვილი.

მე დავინახეო—სწერს უკრაინელი თავადაზნაურული ლიბერალიზმის ბურჟუა კოსტომაროვი—რომ შევჩენკოს მუზამ ჩამოხია ხალხის ცხოვრებაზე გადაფარებული საფარი და გამოჩნდა სურათი, რომელიც ჩემთვის ერთდაიმავე დროს საშინელი, თანაც მომხიბვლელი, მტკივნეული და თანაც წარმტაციც იყოო. ტარასის მუზამ უეცრად გახსნა რაღაც აკლდამა, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ცხრა კლიტით იყო დაკეტილი და მრავალი ბეჭდით დაბეჭდილი. ეს სიტყვები მკვეთრად ახასიათებს შევჩენკო-პოეტის ახალ ეტაპს, მის ახალ ხარისხს, რომლისაც „შეეშინდა" თავადაზნაურულ ჰუმანისტს.

აქედან იწყება ის ხანა შევჩენკოს შემოქმედებაში, რომლის შემდეგ იგი „მთლიანად არალეგალური" პოეტი ხდება. „შევჩენკოს არალეგალობა არ არის სიყმაწვილის ცოდვა, როგორც ეს სჩანს პუშკინის მაგალითზე ან ნეკრასოვის პოეზიის უკიდურეს შემთხვევებში. არა, შევჩენკო მთლიანად არალეგალურია" (დრაგომანოვი).

არალეგალური გახდა შევჩენკო მას შემდეგ, რაც მან დასწერა ნიკოლოზ 1-ის ფეოდალური სატრაპიის მამხილებელი მწვავე სატირა „სიზმარი". ერთ-ერთ აღლუმზე დასწრების შემდეგ, სადაც პოეტმა ნახა მეფე, ჯარი და სასახლის კარის მთელი მლიქვნელი კამარილია, მან დასწერა იმ უკრაინის შესახებ, რომელიც მანამდე არ სჩანდა მის პატრიოტულ-რომანტიულ „დუმკებში", აქ იფეთქა წლობით ნატარებმა მისმა ბოლმამ იმ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელმაც პეტრე პირველიდან მოყოლებული მონობაში და ორმაგ ექსპლოატაციაში ჩააბშო უკრაინა და კიდევ ეორესს უქადდა მას.

სამხედრო კატორღის პირობებში უმაგალითოდ გაიზარდა შევჩენკოს სოციალური პოეზიის სარკასტული მახვილის ძალა. შევჩენკო სავსებით გამოდის თავისი ადრინდელი ნაციონალურ შეზღუდულობის ნაჭუჭიდან და ბატონყმური წყობილების, მეფეებისა, მემამულეებისა და ხუცების წინააღმდეგ ამბოხებისაკენ მოუწოდებს. მუნდირებში გამოწყობილ და მკბენარივით გამრავლებულ თავადაზნაურობას და მეფეს სახრჩობელაზე აიყვანენ. მზე ამოდის და დასწვავს მთელ სისაძაგლეს და ტირანებსო.

პოემაში „კავკასია“, რუსეთის დიდ პოეტთა (პუშკინი, ლერმონტოვი) წინააღშდეგ, რომელნიც კავკასიის ერთა დასაპყრობად მაშინ წარმოებულ კოლონიალურ ომის საკითხში ცარიზმის ოფიციალურ პოზიციაზე იდგნენ, შევჩენკო მაღლდება მისი დროისათვის მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიულ თვალსაზრისამდე და სასტიკად გმობს ცარიზმის სისხლიან გზას. იგი მოუწოდებს „დიად რაინდებს“ (ასე უწოდებს იგი მთიელებს), მედგრად შეებრძოლონ დამპყრობელებს, რადგან მათ თან მოჰყვება საშინელი ბატონმყობა, ბორკილები, ხატი, ხუცები და სმლისა და ეკლესიის ორმაგი ძალმომრეობაო.

ამგვარად, შევჩენკოს ვიწრო ნაციონალური პოეზია გარდაიქმნა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ პოეზიად. შევჩენკო გზმოვიდა ხალხის წიაღიდან და არა მარტო აზროვნებით იყო ხალხთან მისული, არამედ მთელი ცხოვრებით, სისხლით და ხორცით იყო მასთან დაკავშირებულიო—ამბობს შევჩენკოზე იმავე ეპოქის დიდი რევოლუციური დემოკრატი დობროლიუბოვი.

შევჩენკოს საშინლად სძაგდა ნიკოლოზ 1-ლის ბატონყმურ-ფეოდალური, კოლონიალური, უკრაინის, დაღესტნისა და სხვა ერების დამპყრობი რუსეთი, მაგრამ იგი მოწიწებით ქედს იხრიდა ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს, დ ო ბ რ ი ლ ი უ ბ ო ვ ი ს, შ ჩ ე დ რ ი ნ ი ს რუსეთის წინაშე და თითონაც მათ გვერდით სდგას მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და კოლმეურნე მასების მადლიერ ხსოვნაში, როგორც ხალხისათვის ნაწამები დიდი პოეტის ტიტანიური ფიგურა.

ილია ჭავჭავაძე

ძ. რაჭველიშვილი

ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში

ახლოვდება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლისთავი. მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა გულმოდგინედ ემზადება იმისათვის, რომ ღირსეულად აღინიშნოს ხსოვნა იმ ადამიანისა, რომელიც ერთერთი ფუძემდებელი გახდა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უპოპულარესი საზოგადო მოღვაწე იყო“ („პრავდა“).

ი. ჭავჭავაძის, როგორც სალიტერატურო, ისე საზოგადო საქმიანობა ფრიად მრავალმხრივია. ამიტომ ადვილი როდია ჩვენი ლიტერატურის ამ დიდი ფიგურის ჯეროვნად შეფასება. საჭირო კია ჩვენმა ლიტერატურულმა მუშაკებმა დაამუშაონ ცალკე საკითხები მაინც, რომ შესაძლებელი გახდეს ი. ჭავჭავაძის მთლიანად შესწავლა. ამ მიზნით წინამდებარე წერილში ჩვენ მოკლედ შევეხებით ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ერთ ხანას, სახელდობრ სამოციან წლებს, როდესაც დაიწყო მოქმედება და ჩამოყალიბდა ილია, როგორც პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

გულის ჩქროლვით მოდიოდა ი. ჭავჭავაძე საქართველოში რუსეთიდან, სადაც მან სტუდენტად ოთხ წელიწადს დაჰყო. ახალგაზრდა თერგდალეულს უკვე აქვს მოქმედების პროგრამა, მაგრამ მაინც შიში და ეჭვი აწუხებს. „შევიძლებ კი მას (სამშობლოს) ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვსწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო“— ეკითხება თავის თავს ი. ჭავჭავაძე და ბოლოს თვითონვე ამაყად უპასუხებს: შევიძლებო. და ეპოქაც ხომ ისეთი დგებოდა, რომ მოქმედების მეტს იმედს იძლეოდა: იწყებოდა 60-იანი წლები.

სამოციანი წლები ღირსშესანიშნავი ხანა იყო როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ცხოვრებაში. ყირიმის ომში დამარცხებამ საბოლოოდ ცხადჰყო მეფის რეჟიმის სიდამპლე და სრული გამოუსადეგრობა. მეორე მხრივ გლეხთა გაძლიერებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ იძულებული გახადა როგორც თავადაზნაურობა, ისე მეფის მთავრობა—ეზრუნა გამოსავალის გამოსანახავად. საგარეო დამარცხებამ სახელმწიფოს სიმტკიცე შეარყია და ყველა შეგნებული ელემენტი დიდი ცვლილებების მოლოდინში იყო. და მართლაც, დაიწყო ეპოქა ეგრეთწოდებული „დიდი რეფორმებისა“. 1861 წელს რუსეთში, ხოლო 1864—66 ხლებში საქართველოში ბატონყმობა ოფიციალურად გადავარდა: „ერთს ჩამოაცალეს ის, როგორც სთქვა შემდეგ ი. ჭავჭავაძემ, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უსამართლოდ წართმეული ჰქონდა“.

ჩამოსვლისთანავე მას სალიტერატურო შეტაკება მოუვიდა ძველი თაობის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც ჟურნალ „ცისკრის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი. ეს იყო ერთადერთი ქართული „სიტყვიერებითი ჟურნალი“. მისი მთავარი თანამშრომელნი იყვნენ, რედაქტორ ივ. კერესელიძის გარდა, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, მიხ. თუმანიშვილი, ლ. არდაზიანი, ნ. ბერძენიშვილი (ბერძენოვი,) დ. ყიფიანი, დ. ბახტაძე, ბარბარე ჯორჯაძე და სხვანი. ახალგაზრდობა კარგა ხანია უკმაყოფილებას აცხადებდა „ცისკრის“ რეტროგრადობისა, უსახურობისა და უშინაარსობის გამო. რასაკვირველია, „თერგდალეულებიც“, ე. ი. ისინი, ვისაც რუსეთი მოევლო და იქ სწავლა მიეღო, ახალი თაობაც—იძულებული იყვნენ ამავე ჟურნალში ებეჭდნათ თავისი ნაწარმოებნი, რადგან საკუთარი ორგანო არ გააჩნდათ. ამ უკმაყოფილებას ძალიან მკაცრად გამოხატავს თვითონ ილიაც, რომლის პირველი ლექსები „ცისკარშივე“ დაიბეჭდა. აი რას სწერდა, მაგალითად, 1859 წლის თებერვალში ი. ჭავჭავაძე თავის დას ნინოს (აფხაზის მეუღლეს): „იანვრის „ცისკარში“ ჩემი ლექსია დაბეჭდილი. წაიკითხე თუ არა? აი, გინდოდა ჩემი ლექსები გენახა „ცისკარში“ და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურვებოდა, არც მაგას დავაბეჭდინებდი, იმიტომ რომ ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“.

და აი, ამ „ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში იბეჭდება ი. ჭავჭავაძის პირველი სტატია— „ორიოდე სიტყვა. თ. რევაზ შალვას-ძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმნაზედა“. ილია აქ თავისებური დაუზოგავობით ამათრახებს მთარგმნელს, უკიჟინებს უვიცობას და გზადაგზა ბევრ „ერეტიკულს“ მოსაზრებებს გამოსთქვამს—პოეზიაზე, ენაზე, ჩახრუხაძეზე, შავთელზე და სხვა.

ძველი თაობის წარმომადგენელთა გულგასაგმირად და თავზარდასაცემად ი. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურაში თავიდანვე შემოიჭრა, როგორც რეფორმატორი: თავის პირველსავე სტატიაში მან უარყო ქართული ანბანის დრომოჭმული ხუთი ასო (უ, ᲦᲗ, Ძ, Ჩ, Ჯ,). და აი, მის წინააღმდეგ გამოდის ძველთა წარმომადგენელი ბარბარე ჯორჯაძისა, ქართველი პოეტი ქალი. იგი აღშფოთებულია ი. ჭავჭავაძის რეფორმატორობით და სწუხს, რომ ილიამ არ იცის „ყოვლის მწერლისთვის საჭირო და აუცილებელი თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ხელოვნებითი სიტყვიერებისა“, თორემ ძველ ასოებს არ უარყოფდაო.

ბარბ. ჯორჯაძეს მოჰყვნენ სხვები და გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ახალგაზრდა ილიას უსაყვედურებდნენ ისეთი სიტყვების ხმარებას, როგორიც არის ესთეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვა. აკრიტიკებდნენ მის უკვე გამოქვეყნებულ ლექსებს და დანაშაულად უთვლიდნენ, რომ „ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები“ ეპყრა ხელთ. ი. ჭავჭავაძემაც უპასუხა და თავის ᲫᲝᲬინააღმდეგეებს უსაყვედურებდა: „თუ „ცისკარი“ უკარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითაო“.

რასაკვირველია, ეს სალიტერატურო შეტაკება შედარებით უფერული გამოხატულება იყო იმ ღრმა და მკაცრი ბრძოლისა, რომელიც მაშინ სწარმოებდა ძველსა და ახალ თაობას შორის. ერთი მხრივ იყვნენ ძველი წყობილების, ბატონყმობის დამცველნი, მეორე მხრივ ბატონყმობის მოსპობის მომხრენი, ქარ-

თული ენის უფლებათა დამცველნი, ევროპის განათლების მქადაგებელნი და სხვა. ეს მოპირდაპირეობა ცოტა ხანს შემდეგ უფრო რელიეფურად გამოიხატა ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შეტაკებაში, რაზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ილია ჭავჭავაძეს ამის შემდეგ საშუალება აღარ ჰქონდა „ცისკარში" განეგრძო პოლემიკა. მაგრამ მას წამოეშველნენ სხვა „თერგდალეულები" პეტერბურგიდან და სხვა ადგილებიდან (სტუდენტები—კირ. ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და შემდგომ აკაკი წერეთელი). მალე გამოირკვა უდიდესი საჭიროება, რომ ახალ თაობას თავისი სალიტერატურო ორგანო ჰქონოდა. და ეს ორგანოც მალე გაჩნდა. ეს იყო „საქართველოს მოამბე" ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით.

„საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი გამოვიდა 1863 წლის იანვარში. ჟურნალმა სულ ერთ წელს იარსება, მაგრამ მაინც უდიდესი როლი ითამაშა. თვითონ ილიას გარდა მასში მონაწილეობდნენ: ვახტანგ თულაშვილი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ღოღობერიძე, გ. ჩიქოვანი, დავ. ყიფიანი, პ. ნაკაშიძე, ლევ. ჯანდიერი, პ. უმიკაშვილი და სხვანი. ჟურნალი დამცველია რეალისტური მეცნიერებისა და რეალისტური ხელოვნებისა (იხ. წერილი „საქართველოს მოამბეზედ"). მასში იბეჭდება ბელინსკისა და დობროლუბოვის წერილების თარგმანი, წერილები მონობის შესახებ ამერიკაში, პრუდონის „სიღარიბე", შინაური მიმოხილვა და სხვა. დავით ყიფიანის პირით იგი ჰქადაგებს თავისუფალი შრომის პრინციპს, ე. ი. არაპირდაპირ ჰგმობს ბატონყმობას, რომელიც ჩვენში მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა.

ერთერთი თერგდალეული და შემდგომ ცნობილი ბელეტრისტ-პუბლიცისტი გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი ოცდათოთხმეტი წლის შემდეგ ასე აგვიწერდა მაშინდელ ამბავს: 1861 წლიდან „ილია ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ასტეხა ჯერ კიდევ „ცისკარში" და გარს შემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე... ამათ შემოიღეს კერძო კრებები, სადაც კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჭაბუკი ილ. ჭავჭავაძე თავისი ახალდაწერილი ლექსებისა და „გლახის ნაამბობის" თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს და წრის გარეშეც არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა „საქართველოს მოამბე" 1863 წელს. ჟურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკეთესო მწერლებმა... პეტერბურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხვდა ამ ჟურნალის გამოსვლას... „საქართველოს მოამბემ" დაჰგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, სენტიმენტალურად შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და შემდეგ ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც" („კვალი", 189 . № 46).

მკაცრი ცენზურა ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს ჟურნალს. რედაქცია უკანასკნელ ნომერში ჩივის: „ჟურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა სძლიოს რედაქციამ და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება

უქმია. დრონი მეფობენო“ და სხვა. მაგრამ ჟურნალში დაიბეჭდა ისეთი მკვეთრი სატირა თავად-აზნაურობაზე, როგორიც იყო „კაცია-ადამიანი?“ მასშივე დაიბეჭდა „გლახის ნაამბობის“ პირველი ხუთი თავი და შესანიშნავი სიტყვები: „რა ვიცოდი სულელმა, რომ უმცროს-უფროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“ (III თავი). მასშივე იბეჭდებოდა ნაწყვეტები „აჩრდილიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“ ის ნაწილი, სადაც შექებული არიან კაკო და არსენა, როგორც ჩაგრულთა და გლეხების მოსარჩლენი და მოსიყვარულენი. ეს იყო უდიდესი პროტესტი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, რანაირიც კი შესაძლებელი იყო იმ დუხჭირ პირობებში.

მაგრამ „საქართველოს მოამბის“ მდგომარეობა ფრიად მძიმე იყო. მან ითხოვა ჟურნალის პროგრამის გაფართოვება და ნება არ მისცეს. იგი შეეცადა გადაკვრით მაინც შეეხებოდა მაშინდელი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს და ამის საშუალებაც წაართვეს. დარჩა ერთი მხატვრული სიტყვა, ისიც შეკვეცილი, არტახებში ჩაჭედილი. ასეთ პირობებში სიცოცხლის განგრძობას „საქართველოს მოამბემ“ სიკვდილი, მოსპობა არჩია. 1864 წელს იგი უკვე აღარ გამოსულა. ბურთი და მოედანი დროებით ძველი თაობის წარმომადგენლებს დარჩათ, მაგრამ ჟურნალმა უდიდესი როლი ითამაშა. მან შეამჭიდროვა თავის ირგვლივ მაშინდელი ახალგაზრდობა, დარაზმა იგი და გარკვეული მიზანი დაუსახა. ამიტომ სავსებით სამართლიანად ამბობდა ათი წლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე: „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარს“ და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბეს“ და „ცისკარს“ შუა, სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“ (1873 წ. „კრებული“.)

1863 წელს ილია ჭავჭავაძე დაოჯახიანდა. მან შეირთო თადეოზ გურამიშვილის ქალი ოლღა, რომელმაც ერთგული მეუღლეობა გაუწია პოეტს და მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში დიდ მზრუნველობას უწევდა. „საქართველოს მოამბის“ დაკეტვის შემდეგ ილიას, რასაკვირველია, არ შეეძლო „ცისკარს“ დაჰბრუნებოდა. ლიტერატურას მოშორებული ილია ცდილობს ცხოვრების გარეშე არ დარჩეს და აი იწყება მისი ეგრეთწოდებული მოხელეობის, ანუ როგორც თვითონ ამბობს, „ჩინოვნიკობის“ პერიოდი. ილია რჩეობს ისეთს თანამდებობას, სადაც მას შეუძლია რაიმე სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას და უშუალო ურთიერთობა იქონიოს ხალხთან.

თანახმად ფორმულარული ნამსახურობითი სიისა და ავტობიოგრაფიისა, ჩვენ გვაქვს ილია ჭავჭავაძის მოხელეობის შესახებ შემდეგი ცნობები: 1864 წლის 10 აპრილს იგი დანიშნულია მეფის ნაცვლის სამმართველოს ბრძანებით იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. ილიას იქ დავალებული ჰქონდა მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობის გამორკვევა, რაიც ბატონ-ყმობის მოსპობის შემზადებისათვის იყო საჭირო. იმავე წლის ნოემბრის 8 იგი დაუნიშნავთ მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში. 1868

წლის 1-ლ თებერვალს, როდესაც კავკასიაშიაც მოხდა სასამართლოს რეფორმა (ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მაინც არ შემოუღიათ), ი. ჭავჭავაძე დანიშნეს მომრიგებელ მოსამართლედ დუშეთშივე. ამ თანამდებობაზე იგი რჩება 1874 წლამდე, როდესაც ტფილისს გადმოდის ბანკის სამსახურში. არის მრავალი მოწმობა, რომ ი. ჭავჭავაძე ძალიან პოპულარული იყო ხალხში, დიდი სახელი ჰქონდა მიუდგომელი მოსამართლისა და ჩაგრულთა მოსარჩლისა. მისი ჭკუისა და სამართლიანობის შესახებ ადგილობრივ ხალხში ფრიად დამახასიათებელი გადმოცემანიც დარჩენილა (იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა", წ. I. გ. ლეონიძე — „მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისთვის").

რასაკვირველია, სახელმწიფო სამსახური ილია ჭავჭავაძეს ხელს უშლიდა ჯეროვანი მონაწილეობა მიეღო ქართულ მწერლობასა და ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას სრულიადაც არ დაუნებებია თავი წერისა და ლიტერატურული შრომისთვის, როგორც ზოგიერთს ეგონა. მოხელეობა მისთვის გარდუვალი ტვირთი იყო, მაგრამ 1864 წელს, როდესაც მას მიმართავდა ნაწარმოებისათვის კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (იმ დროს პეტერბურგში იყო სტუდენტად და შეადგინა ქართველ პოეტთა ლექსების კრებული „ჩონგური"), ილია უპასუხებდა: „ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისთანა საქმეში, რომელიც ყველასთვის ერთნაირად სასიამოვნოა... გთხოვთ ყოველთვის და ყველგან მიგულვო სულით და გულით გამზადებულიო", გაუგზავნა თავისი ნაწარმოებნი და ჰონორარზედაც უარი სთქვა.

1872 წელს ილია სწერს დუშეთიდან ცნობილ მოღვაწეს პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ს: „ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი. ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რითი ვიცხოვრო? ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა-პურის შოვნის დევნაში, სამსახურს რომ თავი დავანებო". იგი ცდილობს როგორმე დუშეთიდან ტფილისს გადმოსვლა მაინც მოახერხოს, ფიქრობს ჟურნალის გამოცემასაც. იგი, მაგალითად, ძალიან შეშფოთებულია, რომ გ. წერეთლის და ნ. ნიკოლაძის ჟურნალი „კრებული", რომელშიაც თვითონაც ღებდა დიდ მონაწილეობას, გაჭირვებაშია. „კრებული უნდა არსებობდეს ესათუოდ," სწერს იგი 1872 წ. იმავე პ. უმიკაშვილს. იქვე ილია გამოსთქვამს ნწერალთა კლუბის დაარსების იდეას: „იქნებ მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, ამბობს ის, რომ მწერლებს, ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალითად, რომ ქალაქში იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძნობელთა ერთად თავის მოყრა თვითეულის გონებრივი საუნჯის აღებმიცემობისათვისო".

მაშინდელი ახალგაზრდობაც მძაფრად განიცდიდა ილიას უყოლობას ტფილისში. ეს ახალგაზრდობა ცდილობდა მისთვის ისეთი მდგომარეობა შეექმნა, რომ ილიას შესძლებოდა თავისი ძალ-ღონის შესაფერისი მონაწილეობა მიეღო ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აი, რას ამბობს ნ. ნიკოლაძე იმ დროის შესახებ: „ილია ჭავჭავაძე დუშეთში ცხოვრობდა, საცა

მობრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყოველი მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე—დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვად“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი („მნათობი“ № 8—9, 1933 წ. გვ. 279).

ილიას ტფილისს გადმოსვლა ვერ მოხერხდა 1874 წლამდე. მაგრამ, როგორც ვთქვით, იგი შორიდანაც დიდ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ი. ჭავჭავაძის სასტიკი შეტაკება თავად-აზნაურობის ბობოლა წარმომადგენლებთან ბატონ-ყმობის საკითხზე და შემდეგ მკაცრივე შეტაკება გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ თ ა ნ, ძველი თაობის ამ ფრიად კოლორიტულ წარმომადგენელთან. შევეხოთ ჯერ ბატონ-ყმობის საკითხს.

როგორც ცნობილია, ბატონ-ყმობის გადავარდნა ჩვენში რამდენიმე წლით უფრო გვიან მოჰხდა, ვიდრე რუსეთში. დააარსეს თავად-აზნაურთა კომიტეტი იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა მომხდარიყო გლეხთა განთავისუფლება, უმიწოდ თუ მიწიანად. როდესაც კომიტეტმა მუშაობა მოათავა, გაიმართა თავად-აზნაურობის საგასგებო კრება მისი პროექტის განსახილველად. ამ კრებას ილია ჭავჭავაძეც დაესწრო. აი, როგორ გადმოგვცემს ქრ. მამაცაშვილი ამ საყურადღებო ამბავს:

„ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა: გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა აღაშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და კრებიდან ძლივს-ძლივობით გაიყვანეს. მე გომბორში ვმსახურობდი, ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარს შემოვერტყათ და ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ანტ. ფურცელაძე და ამ წერილის ავტორიც მუდმივ შორი-ახლო მოვსდევდით ილიას და ბზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი. მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენერალ-ლეიტენანტმა ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა: უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავად-აზნაურობა მიემხრობა, მიწიანად კი მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, თავისკენ მიაბრუნა და ჰკითხა: ვინ არიან ეგ კაცუნებიო. მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შესცდა და რამდენიმე კაცუნას მაგივრად უნდა ეთქვა რამდენიმე კაცი (იხ. „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 67).

როგორც ვიცით, ჩვენში საკითხი არსებითად ილია ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ გადაწყდა. გლეხები გაათავისუფლეს, მაგრამ მიწა მათთვის საკუთრებად კი არა, ეგრეთწოდებულ „ნადელებად“ მისცეს. ყოფილ

ყმებს მხოლოდ უფლება მიეცათ გამოესყიდათ თავისი მიწები და შეიქმნა ეგრეთწოდებული დროებით ვალდებული გლეხობა, რომელიც მოავალი წლის განმავლობაში იხდიდა სანადელო ფულს. მხოლოდ რევოლუციის წინა წლებში (1912 წ.) მოისპო ეს დროებითი ვალდებულება და სამოციან წლებში დაწყებული რეფორმა ნახევარი საუკუნის შემდეგ მოთავდა ფორმალურად.

მაგრამ როგორ მოიქცა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე თავის მამულის და იქაური გლეხების მიმართ? მისი მამული კახეთის სოფელ ყვარელში იყო. ილიამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე გლეხების მიერ ხმარებული საკომლო, სახლკარის მიდამო, მ ა თ ი ხ ვ ე დ რ ი ვ ე ნ ა ხ ე ბ ი უ ს ა ს ყ ი დ ლ ო დ დ ა უ თ მ ო, ხ ე ლ შ ე უ ხ ე ბ ე ლ ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ დ ა უ მ ტ კ ი ც ა და ამით მოსპო ყოველგვარი ბატონ-ყმური დამოკიდებულება თავისსა და ყოფილ ყმებს შორის. ამნაირად ილია ჭავჭავაძემ სამოციან წლებშივე ჩაიდინა საქციელი, რომელსაც შემდგომ ხანებშიაც მოწინავე თავად-აზნაურებს დიდ პროგრესისტობად და რევოლუციონერობადაც კი უთვლიდნენ!

ილია მებრძოლი, ილია ახალი თაობის ბელადი ნათლად მოსჩანს აგრეთვე იმ შეტაკებაში, რომელიც მას ჰქონდა ძველი თაობის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან, როგორიც იყო გრიგოლ ორბელიანი. ამ შეტაკებაში, რომლის ლიტერატურული ძეგლები დაგვრჩა (ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“, გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“ და ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“), ნათლად ჩამოყალიბდა ძველ და ახალ თაობათა მისწრაფებანი და განსხვავება. საქმე აი, როგორ იყო.

ილია ჭავჭავაძემ 1871 წლის დეკემბერს დასწერა „გამოცანები“, რომლებშიაც მკაცრად არიან დახასიათებულნი მაშინდელი ძველი თაობის ბურჯები: რ. ანდრონიკაშვილი, გ. კ. მუხრან-ბატონი, რომელიც ამტკიცებდა, რომ დიდმა ერებმა პატარები უნდა ჩაყლაპონო და რომელზედაც ილიამ მოხდენილად სთქვა: „лишь право сильного раб свято почитает“; პ. იოსელიანი, გრიგოლ ორბელიანი, გრაფი მ. ლორის-მელიქოვი (შემდგომ მინისტრი), მიხეილ თუმანიშვილი, ლევან მელიქიშვილი და სხვანი. ყოველი დახასიათება თავდებოდა ასეთი სიტყვებით: „მაგრამ ერიც და ქვეყანაც იმას ფეხებზე ჰკიდია“. ძველებმა იწყინეს ასეთი თავხედობა. მათმა ყველაზე ავტორიტეტიანმა წარმომადგენელმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა დასწერა თავის „პასუხი შვილთა“, სადაც ახალთაობას უსაყვედურებდა ენის წახდენას, ღვთის გმობას, ცრუ ლიბერალიზმსა და სხვას. ილია ჭავჭავაძემაც უპასუხა ცნობილი ლექსით. ეს უკანასკნელი იმდენად დამახასიათებელია მაშინდელი განწყობილებისა და თვითონ ილიასთვის, რომ არ შეგვიძლია მასზე ცოტა უფრო ვრცლად არ შევჩერდეთ და თვითონ ლექსის ნაწყვეტიც არ მოვიყვანოთ.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: ახალი თაობის წარმომადგენლებს, თუმცა რუსეთი მოუვლიათ, მაგრამ ძველებისაგან განსხვავებით, თავის ქვეყანა ჩინებზე არ გაუცვლიათ, ერი ჯვრებზე არ გაუყიდიათ, ლიბერალ-პატრიოტობა სალანძღავად არ გაუხდიათ. „თქვენ, ნაცარმქექო და გულნამცეცნო“, რატომ არის, რომ „ძირს უთხრით ღარიბთ ერთობასო“. თქვენ უსჯულოებას გვწამებთ. ერთის მხრივ ეს მართალია:

ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.
ხოლო გვწამს ღმერთი, უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის, თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული.
ძლიერთ დამბმელი, უძლურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-დევნული.

შემდგომ ილია აღნიშნავს, რომ ენა ახალ თაობამ შეინახა, რადგან ძველნი — „შიშით არც კარში და აღარც სახლში მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენადო“.

რასაკვირველია, ასეთი რისამე დაბეჭდვა შეუძლებელი იყო. ილიას ლექსი დადიოდა ხელნაწერად ჩვენს მაშინდელ საზოგადოებაში, ბრძოლის ცეცხლს უნთებდა ახალგაზრდობას და ლახვრად ხვდებოდა ძველს თაობას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ის ფრიად საყურადღებო ფაქტი, თუ როგორ გამოეხმაურა ი. ჭავჭავაძე პარიზის კომუნის დაცემას. 1871 წლის მაისის 29 თარიღით დიწერილ შესანიშნავ ლექსში იგი ასე აფასებს კომუნის დამარცხებას:

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

ამნაირად, ი. ჭავჭავაძე იმხანად ერთხელ კიდევ ავიდა მწვერვალზე და მაშინდელი ახალი თაობის ღირსეული ბაირაღტარი გახდა.

რედაქტორი—**დავით დემეტრაძე.**
მდივანი—**ალ. აბაშელი.**

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

შეკ. 4 მთავ. № 2242 ტირ. 2200